


ჰეგელი გელნიჩიუვილი

უნივერსიტეტის
პირველი
რექტორი

უნივერსიტეტის პირველი რექტორი



პეტრე მელიქიშვილი

ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის გაზეთ „თბილისის უნივერსიტეტის“ რედაქცია კრებულს (პუბლიცისტური ნარკვევები) უძღვნის თსუ-ის ერთერთ დამაარსებელს, დიდ მეცნიერსა და საზოგადო მოღვაწეს, თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის პირველ რექტორს პეტრე მელიქიშვილს. პუბლიცისტური ნარკვევი, რომელშიც ამ დიდი პიროვნების მოღვაწეობის ასპექტებია გაშუქებული, ვფიქრობთ, დაინტერესებს ჩვენი საზოგადოების ყველა ფენას, განსაკუთრებით კი საქართველოს ისტორიის, უნივერსიტეტის ისტორიის, დიდი ადამიანების ბიოგრაფიების მკვლევრებს, ასევე, სტუდენტებსა და საჯარო სკოლების მაღალი კლასის მოსწავლეებს.

გაზეთ „თბილისის უნივერსიტეტის“ რედაქცია საზოგადოებას პერიოდულად შესთავაზებს კრებულთა სერიულ გამოცემებს, რომელიც უნივერსიტეტის დამაარსებლებს, სხვადასხვა სამეცნიერო სკოლებისა და დარგების მესაძირკველებს, ღვაწლმოსილ მეცნიერებსა და პროფესორებს მიეძღვნება.

კრებულის შემდგენელი:
მაია ტორაძე

რედაქტორი:
ნინო კაკულია

კონსულტანტი:
შოთა სამსონია

სარედაქციო ჯგუფი:
მანანა ჯურხაძე
ანა ბოლქვაძე

კომპ. უზრუნველყოფა:
ზაზა გულაშვილი

გაზეთ „თბილისის უნივერსიტეტის“ რედაქცია მასალების მოწოდებისთვის მადლობას უხდის აკადემიკოს შოთა სამსონიას და თსუ-ის მუზეუმის თანამშრომელს მანანა ლილუაშვილს საარქივო დოკუმენტებისა და ფოტოების მოწოდებისთვის

სარჩევი

წინასიტყვაობა.....	5
ზნეობრივი მაგალითი.....	7
ბიოგრაფიული შტრიხები.....	9
პეტრე მელიქიშვილი და უნივერსიტეტი.....	19
პეტრე მელიქიშვილის მეცნიერული მემკვიდრეობა	32
ინტერვიუ აკადემიკოს შოთა სამსონიასთან	35
მსოფლიო დონის მეცნიერთა მასწავლებელი	40
ივანე ნიკურაძის მიმონერა პეტრე მელიქიშვილთან.....	41
პეტრე მელიქიშვილის პიროვნული შტრიხები	44
დ. ჯორჯიკიას მოგონებიდან.....	46
უნივერსიტეტის პირველი რექტორის კაბინეტში.....	54
პეტრე მელიქიშვილის აკადემიური სახელობითი პრემიის მფლობელები.....	57

წინასიტყვაობა

„მან სრულყო ქიმიურ ელემენტთა
პერიოდული სისტემა!“
/დ. მენდელეევი/

თუ ვინმე შეეცდება, წამით მაინც წარმოიდგინოს, როგორი შეიძლება იყოს სამშობლოს და ერის მსახური კაცი, რომელმაც მთელი თავისი ცხოვრება შესწირა ქვეყნის განვითარებას და მომავალი თაობის აღზრდას, აუცილებლად დაუდგება თვალწინ პორტრეტი, რომლის გარეშეც არც ქართული მეცნიერება, არც ქართული განათლება და არც ქართული საქმე არ არსებობს.

საბედნიეროდ, საქართველოს ჰყავს მოღვაწეები, რომლებიც უანგაროდ ემსახურებოდნენ სამშობლოს. მათ შორის ერთი ნათელი კაციცაა – პეტრე მელიქიძევილი, რომლის სახელიც სამუდამოდ დაუკავშირდა ქართველი ერის ისტორიას. იგი იყო პირველი ქართული უნივერსიტეტის პირველი რექტორი, მეცნიერი, რომელმაც უდიდესი კვალი დაატყო ქიმიის, როგორც მეცნიერების, განვითარებას და რომელზეც თვით მენდელეევი მიუთითებდა, რომ „მან სრულყო ქიმიურ ელემენტთა პერიოდული სისტემა!“.

პეტრე მელიქიძევილის არჩევა უნივერსიტეტის პირველ რექტორად ივანე ჯავახიშვილის ინიციატივით მოხდა და ეს არ იყო შემთხვევითი — ქართულ უნივერსიტეტს, რომელსაც სჭირდებოდა საერთაშორისო ასპარეზზე გასვლა და მსოფლიო საგანმანათლებლო სივრცეში თავის დამკვიდრება, უნდა ჰყოლოდა მეთაური, ვისაც იცნობდნენ, როგორც დიდ მეცნიერსა და ავტორიტეტულ პიროვნებას. ასეთი კი მაშინდელ საქართველოში ერთადერთი იყო — პეტრე მელიქიძევილი. სწორედ მისი რექტორობით აიდგა ფეხი თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტმა, პირველი ნაბიჯები კი იმდენად მყარი აღმოჩნდა, რომ თვით საბჭოთა ხელისუფლებამაც ვერ ჩანანვლა დიდ მოღვაწეთა მიერ თბილისში ანთებული ცოდნის ნაპერწკალი.

პეტრე მელიქიძევილის დიდი დამსახურებაა ქიმიის სამეცნიერო ტერმინოლოგიის ქართულად დანერგვა, ქიმიის და აგროქიმიის, როგორც მეცნიერების, განვითარება (არა მხოლოდ საქართველოში); იგი იყო მეცნიერი, რომელიც ყველა სამეცნიერო მიღწევის პრაქტიკაში დანერგვას ცდილობდა და ზუსტად მიუთითებდა, რომ თუ საქართველოს სურდა თავის დამკვიდრება მონინავე ქვეყნების გვერდით, მისი ეკონომიკური აღორძინება სოფლის მეურნეობის განვითარებით უნდა დაწყებულიყო.

მისი დამსახურებაა ისიც, რომ გასული საუკუნის პირველ ნახევარში არა ერთი ქართველი ქალი დაადგა მეცნიერების გზას.

პეტრე მელიქიძევილის მოღვაწეობა თავისი პროგრესულობით დღესაც ინტერესს იწვევს. ამ პატარა კრებულში სწორედ ის აქცენტებია დასმული, რომლითაც ნათელი გახდება — ვინ ედგა ქართველ ინტელექტუალებს სათავეში და რა იყო იმ სიძლიერის საფუძველი, რომლითაც აგერ უკვე საუკუნეა დგას თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი, როგორც ნიშანსვეტი ქართული გენიისა.



ზნეობრივი მატალიტი

როდესაც ჩამოყალიბდა გარკვეული ჯგუფი ადამიანებისა, რომლებმაც ინტენსიური მუშაობა დაიწყეს საქართველოში პირველი უნივერსიტეტის დაფუძნებისთვის, ამ ჯგუფში ყველაზე გამორჩეული, სოლიდური და ყველაზე სახელოვანი მეცნიერი გახლდათ ქიმიკოსი პეტრე მელიქიშვილი. როდესაც დადგა საკითხი, თუ ვინ იქნებოდა პირველი უნივერსიტეტის რექტორი, ამ ჯგუფის ყველაზე აქტიური და გამორჩეული წევრის, ივანე ჯავახიშვილის მიერ ამ პოსტზე პეტრე მელიქიშვილი დასახელდა, რაც, რა თქმა უნდა, ბუნებრივი იყო. ივანე ჯავახიშვილის წინადადებას ერთხმად დაუჭირეს მხარი.

პეტრე მელიქიშვილს ძალიან მცირე პერიოდით მოუწია რექტორობა. სწორედ ამ პერიოდში მოხერხდა საკმაოდ მჭიდრო ურთიერთობის დამყარება საქართველოს პირველი რესპუბლიკის მთავრობასთან, რომელმაც უნივერსიტეტს სახელმწიფო სტატუსი მიანიჭა და რომელმაც, თავისი მწირი შესაძლებლობის მიუხედავად, უნივერსიტეტს ბიუჯეტიდან პირველი დაფინანსება გამოუყო. რა თქმა უნდა, ამ თვალსაზრისით, პეტრე მელიქიშვილის წვლილი გამორჩეულია. თუმცა, მას მალევე მოუხდა გადადგომა, რადგან კონფლიქტი მოუვიდა ერთერთ პროფესორთან, რის შემდეგაც თავად მიიღო გადაწყვეტილება გადადგომის შესახებ. ეს, გარკვეულწილად, მიუთითებს იმ ზნეობრივ მუხტზე, რომელიც მაშინდელი თაობის მახასიათებელი იყო. პეტრე მელიქიშვილის გადაწყვეტილების დაკმაყოფილების შემდეგ უნივერსიტეტის რექტორად ივანე ჯავახიშვილი აირჩიეს.

პეტრე მელიქიშვილი დიდი მეცნიერი იყო და მისი როლი იმითაც დაფასდა, რომ გარდაცვალებამდე მცირე ხნით ადრე იგი სსრკ-ის მეცნიერებათა აკადემიის წევრ-კორესპონდენტად აირჩიეს, რაც მაშინ განსაკუთრებულად რთულად მისაღწევი იყო. იგი აღიარეს როგორც ერთ-ერთი გამოჩენილი ქიმიკოსი იმდროინდელი საბჭოთა კავშირის სივრცეში. მან შექმნა ქიმიური სკოლა საქართველოში და, დღეს, მისი მოწაფეები და მოწაფეთა მოწაფეები წარმატებით აგრძელებენ მის საქმიანობას.

უნივერსიტეტში პეტრე მელიქიშვილის როლი განსაკუთრებით არის დაფასებული. იგი დაკრძალულია უნივერსიტეტის ბაღში, სადაც მისი ძეგლიც დგას. ხაზგასასმელია ისიც, რომ

მელიქიშვილისა და ჯავახიშვილის შემდეგ რექტორები, როგორც წესი, კომუნისტური მმართველობის დროს, ინიშნებოდნენ. მხოლოდ საქართველოს დამოუკიდებლობის აღდგენის შემდეგ მოხერხდა ჯერ დანიშვნით და მერე უკვე არჩევნების გზით უნივერსიტეტში რექტორის პოსტის დაკავება. ამდენად, პეტრე მელიქიშვილისა და ივანე ჯავახიშვილის არჩევის პრეცედენტი, ისტორიული თვალსაზრისითაც, საქართველოსთვის და საუნივერსიტეტო სისტემისთვის განსაკუთრებით გამორჩეულია.

ვლადიმერ პაპავა,
თსუ-ის რექტორი, აკადემიკოსი


ბიოგრაფიული შტრიხები

თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ერთ-ერთი დამაარსებელი და პირველი რექტორი პეტრე გრიგოლის ძე მელიქიძე 1850 წლის 11 ივლისს თბილისში დაიბადა.

მისი წინაპრები XVI საუკუნეში აჭარიდან ჯერ ახალციხეში, შემდეგ კი თბილისში გადმოსახლებულან. სწორედ აქ, ასათიანის (ყოფილი ენგელსის 36) ქუჩის 44-ე ნომერში, პეტრე-პავლობის დღესასწაულზე დაბადებულა დიდი ქართველი მეცნიერი. მისი ოჯახი თბილისში პროგრესულობითა და განათლების სიყვარულით ყოფილა გამორჩეული. მამა — გრიგოლ მელიქიძე, მკვლევართა გადმოცემით, არაერთ საზოგადო საქმეში ყოფილა ჩართული. მათ შორის, დიდი წვლილი შეუტანია ქართული სტამბის დაარსებაში. „სტამბა ეკუთვნოდა დიმიტრი ბაქრაძეს, ნიკოლოზ ბერიძეს, ვახტანგ თულაშვილს და სტეფანე მელიქიძეებს (პეტრე მელიქიძეების ძმას). გრიგოლმა შეიტანა ამ ამხანაგობაში არა მხოლოდ თავისი შვილის ხვედრი ფული, არამედ, შეუსო სტამბის შესაძენად საჭირო თანხის დანაკლისი და გაისტუმრა სტეფანე ვენაში სტამბის მონოპოლიზაციის ჩამოსატანად და ქართული ასოების ჩამოსახმელად“, — წერს მ. შალამბერიძე 1923 წელს პეტრე მელიქიძეების სამეცნიერო მოღვაწეობის 50 წლისთავისადმი მიძღვნილ წერილში („სტეფანის უნივერსიტეტის მოამბე“; 1923 წ; გვ. XI);

პეტრე მელიქიძეების ოჯახის დამსახურება ქართული საქმისადმი ამით არ ამოწურულა. 1866 წელს სტეფანე მელიქიძეების გამომცემლობით და გიორგი წერეთლის რედაქტორობით გამოვიდა გაზეთი „დროება“, რომელიც იმ პერიოდის საზოგადოების პროგრესულად მოაზროვნე ნაწილის თავშესაფრად იქცა. საგამომცემლო საქმით იყვნენ ასევე დაკავებული პეტრე მელიქიძეების უმცროსი და-ძმა: იოსები და კეკე, შემდეგში ცნობილი ქართველი პუბლიცისტის სერგეი მესხის მეუღლე და საყმაწვილო ჟურნალ „ჯეჯილის“ თანამშრომელი.

ბიოგრაფების გადმოცემით, გრიგოლ მელიქიძეების ოჯახში ხშირად იყრიდნენ თავს ქართველი ინტელიგენციის წარმომადგენლები: ილია ჭავჭავაძე, აკაკი წერეთელი, ნიკო ნიკოლაძე, სერგი მესხი, გიორგი წერეთელი და სხვები, რომელთა გავლენითაც პეტრე მელიქიძეებს პატარაობიდანვე ჩაესმოდა ქართული საქმისადმი თავდადების მნიშვნელობა.



გრიგოლ მელიქიშვილი — პეტრე მელიქიშვილის მამა

„პეტრემ დიდედის დახმარებით შეისწავლა წერა-კითხვა. ათი წლისა იგი მიაბარეს გიმნაზიაში, სადაც წარჩინებული სწავლით გამოირჩეოდა; კლასიდან კლასში გადასვლისას ყოველთვის ქების სიგელს ღებულობდა, ხოლო გიმნაზიის დამთავრების შემდეგ (1868 წ.) მისი სახელი ოქროს ასოებით დაინერა საპატიო დაფაზე“ (ი. გვერდნითელი „პეტრე გრიგოლის ძე მელიქიშვილი – ცხოვრება და მოღვაწეობა“; 1975 წ. გვ. 4).

თავად პეტრე მელიქიშვილი თავის მოგონებებში „ჩემი ცხოვრება“ დანვრილებით აღწერს გიმნაზიაში არსებულ გარემოს და იმ წლებს, რომელიც მოსწავლეთათვის არც თუ ისე სასიამოვნოდ გასახსენებელი ყოფილა. „იგი მოგვითხრობს გაუნათლებელ მასწავლებლებზე, რომლებიც ცემა-ტყეპით ცდილობდნენ მოწაფეების „აღზრდას“, თუმცა მათ გვერდით იხსენებს პროგრესული იდეებით „აღჭურვილ“ პედაგოგებს, რომლებმაც დიდი გავლენა მოახდინეს ახალგაზრდებზე. ასეთებად ახასიათებს იგი ბესარიონ ლოლობერიძეს, პოლონელ მასწავლებელ ზაგერსკის, უკრაინელებს: ლავრენკოს და ნადეჟდინს (ი. გვერდნითელი „პეტრე გრიგოლის ძე მელიქიშვილი – ცხოვრება და მოღვაწეობა“; 1975 წ. გვ. 4). სწორედ ბესარიონ ლოლობერიძის გავლენით გადაუწყვეტია პეტრე მელიქიშვილს საბუნებისმეტყველო მეცნიერებების დაუფლება.

თავდაპირველად პეტრე მელიქიშვილს მოსკოვის ან პეტერბურგის უნივერსიტეტში ჩაბარება განუზრახავს, მაგრამ სუსტი ჯანმრთელობის გამო ექიმებს აუკრძალავთ ამ ქალაქებში გამგზავრება, რის გამოც ოდესის უნივერსიტეტს მიაკითხა. სწორედ აქ ჩააბარა მან 1869 წელს ფიზიკა-მათემატიკის ფაკულტეტის საბუნებისმეტყველო განყოფილებაზე, სადაც იმ პერიოდში „დემოკრატიული იდეებით აღჭურვილი პროფესურა“ გადასცემდა ცოდნას სტუდენტებს, მათ შორის იყვნენ: ქიმიკოსები ვერიგო, სოკოლოვი, ბოტანიკოსი ცენკოვსკი, ფიზიოლოგი სერენოვი, ბიოლოგები: კოვალსკი, მეჩნიკოვი და სხვები. ამავე ფაკულტეტზე სწავლობდა გამოჩენილი მეცნიერი, შემდგომში ოდესის უნივერსიტეტის რექტორი ვასილ პეტრიაშვილი.

ოდესის უნივერსიტეტში სწავლის დროს პეტრე მელიქიშვილი არა მხოლოდ სავალდებულო საგნების შესასწავლად, არამედ სხვა მისთვის საინტერესო ლექციებსაც ესწრებოდა. განსაკუთრებით მოსწონდა თურმე პროფესორ კონდაკოვის ლექციები და სამეცნიერო გამოკვლევები, რომლებიც საქართველოს ძველი ძეგლების შესწავლას ეძღვნებოდა.



და — ეკატერინე (კეკე) მელიქიშვილი



სიდე — სერგი მესხი

სტუდენტობის პირველივე წლებს ეკუთვნის პეტრე მელიქიშვილის ორი სამეცნიერო ნაშრომი ორგანულ ქიმიაში ა. ვერიგოს ხელმძღვანელობით, რომლებიც 1873 წელს გამოქვეყნდა.

პეტრე მელიქიშვილმა 1872 წელს, ექსტერნის წესით, ორი წლით ადრე დაამთავრა ოდესის უნივერსიტეტი და იქვე დატოვეს საპროფესოროდ მოსამზადებლად.

ამავე წელს იგი ჩამოვიდა თბილისში, სადაც ერთი წელი ბოტანიკის მასწავლებლად მუშაობდა ყოფილი ფაბრის კერძო ქალთა გიმნაზიაში („ტფილისის უნივერსიტეტის მოამბე“; 1923 წ; გვ. XII);

ერთი წლის შემდეგ, 1873 წელს, იგი სამეცნიერო მივლინებით გაგზავნეს უცხოეთში, სადაც მუშაობდა ტიუბინგენისა და კარლსრუეს ქიმიურ ლაბორატორიებში და ისმენდა პროფესორ იუსტის ლექციებს აგროქიმიაში.

საზღვარგარეთული მივლინების დასრულების შემდეგ, 1876 წელს იგი დაბრუნდა ოდესაში და დაინიშნა უნივერსიტეტის ქიმიური ლაბორატორიის გამგედ. 1875 წელს პეტრე მელიქიშვილი აქვეყნებს სამეცნიერო ნაშრომს, ამჯერად ფიზიკურ ქიმიაში.



ძმა — სტეფანე მელიქიშვილი

1877 წლიდან იგი იწყებს მუშაობას ორგანული ქიმიის დარგში, კერძოდ, მუშაობს გლიცერინიდან მონოქლორძმარმჟავასა და ქლორპროპანის მჟავების მიღების საკითხებზე და აქვეყნებს კვლევის შედეგად მიღებულ მონაცემებს. პარალელურად ემზადება სამაგისტრო გამოცდებისთვის.

„1878 წლიდან პეტრე მელიქიშვილის ყურადღება ორგანულ ქიმიაში მეტად საინტერესო პრობლემამ, კერძოდ, უჯერი მჟავების ნაწარმებმა მიიპყრო. მან შეისწავლა აკრილის მჟავა და მასთან დაკავშირებული საკითხები, რომელთაც მიუძღვნა ექვსი შრომა 1879-1880 წლებში“ (ი. გვერდნითელი „პეტრე გრიგოლის ძე მელიქიშვილი – ცხოვრება და მოღვაწეობა“; 1975 წ. გვ. 6).

პეტრე მელიქიშვილმა 1881 წელს დაიცვა დისერტაცია მაგისტრის ხარისხის მოსაპოვებლად თემაზე: „აკრილის მჟავათა ნაწარმის შესახებ“.

დისერტაციის დაცვის შემდეგ იგი კვლავ გაემგზავრა საზღვარგარეთ და ჯერ პარიზში მოისმინა გამორჩენილი ფრანგი ქიმიკოსის მ. ბერთელოს ლექციები, გაეცნო მის ლაბორატორიას და სამეცნიერო მემკვიდრეობას, ხოლო შემდეგ მუშაობა განაგრძო

მიუნჰენში გერმანელი მეცნიერის — ა. ბაიერის ლაბორატორიაში.

1884 წელს პეტრე მელიქიშვილი, პროფესორების — ვერიგოს, პეტრიაშვილისა და კლიმენკოს წარდგინებით, აირჩიეს აგრონომიული ქიმიის კათედრის დოცენტად.

1884 წელს კი მან წარადგინა სადისერტაციო შრომა მეცნიერებათა დოქტორის ხარისხის მოსაპოვებლად თემაზე: „იზომერულ კროტონმჟავას ნაწარმთა შესახებ“.

1885 წელს იგი დანიშნეს ქიმიის კათედრის ექსტრაორდინარულ პროფესორად. 1889 წლიდან კი ამავე კათედრის პროფესორი გახლდათ.

„პეტრე მელიქიშვილი ამ ხანებში თავის გარშემო იკრებს ნიჭიერ ახალგაზრდებს, როგორებიც იყვნენ ნ. დ. ზელინსკი, პ. პეტრენკო-კრიტიჩენკო, მ. ფელდმანი და სხვები. საკითხები, რომლებზეც მეცნიერი ამ დროს მუშაობდა, იყო მისი სადისერტაციო ნაშრომის გაგრძელება, გაღრმავება და დაზუსტება. ასეთები იყო, მაგალითად, აკრილის მჟავას ჰომოლოგიური რიგის სინთეზი და მათი წარმოებულები, რომელთა შორის განსაკუთრებით აღსანიშნავია ოქსიმჟავების სხვადასხვა იზომერების მიღება“ (ი. გვერდნითელი „პეტრე გრიგოლის ძე მელიქიშვილი – ცხოვრება და მოღვაწეობა“; 1975 წ. გვ. 6).

პეტრე მელიქიშვილის ბიოგრაფები წერენ, რომ მის ცხოვრებაში გარდამავალ ეტაპად შეიძლება ჩაითვალოს 1891-1896 წლები, როცა იგი მეტეორიტების ბუნებით დაინტერესდა. პროფესორი მელიქიშვილი იკვლევდა სხვადასხვა დროს სხვადასხვა ადგილზე ჩამოვარდნილ მეტეორიტებს — ცმეტის, ვაკულოვის, ზაბროდის, მიგეის და სხვ.

1897 წლიდან პეტრე მელიქიშვილი იწყებს მუშაობას არაორგანული ქიმიის დარგში. ამ სფეროში მან 20-მდე ნაშრომი შექმნა. ეს ნაშრომები, როგორც მნიშვნელოვანი გამოკვლევები, მონოგრაფიად გამოაქვეყნა რუსეთის მეცნიერებათა აკადემიამ სათაურით: „ზეჟანგები და ზემჟავები“, ხოლო მისი ავტორები: პ. მელიქიშვილი და ლ. პისარჟევსკი 1899 წელს ლომონოსოვის სახელობის პრემიით დაჯილდოვდნენ.

აქვე უნდა აღინიშნოს, რომ სწორედ ამ ნაშრომების შემდეგ თქვა უდიდესმა მეცნიერმა დ. ი. მენდელეევმა: „პეტრე მელიქიშვილმა განამტკიცა ელემენტების პერიოდული სისტემა“, რაც ქიმიკოსისთვის ყველაზე დიდი შეფასება და ჯილდოა.



პეტრე მელიქიშვილი ლაბორატორიაში*

* პეტრე მელიქიშვილის პირადი ფონდის ორიგინალი ფოტოები დაცულია ოდესის საოლქო არქივში. ელექტრონული ვარიანტები ინახება თსუ-ის მუზეუმში.



ვასილ პეტრიაშვილი
პეტრე მელიქიშვილის მეგობარი,
ოდეის უნივერსიტეტის რექტორი
1907-08 წლებში.*

იგი აქტიურად მუშაობდა ბუნებრივი წიაღისეულისა და სოფლის მეურნეობის პროდუქტების შესწავლის კუთხით. სპეციალისტებს განსაკუთრებით საინტერესოდ მიაჩნიათ მისი გამოკვლევები ხორბლის, ღვინის, ყველისა და სხვა ქართული ნაწარმის შესახებ.

პეტრე მელიქიშვილი 40 წელი მუშაობდა ოდეის უნივერსიტეტში. ხოლო მას შემდეგ, რაც საქართველოში ივანე ჯავახიშვილის თაოსნობით 1918 წელს პირველი უნივერსიტეტი დაარსდა, იგი მოიწვიეს და, ივანე ჯავახიშვილისვე ინიციატივით, 16 იანვარს უნივერსიტეტის რექტორად აირჩიეს. ამ დროს პეტრე მელიქიშვილი უკვე 68 წლისა იყო, მაგრამ ახალგაზრდული ენერჯით შეუდგა მუშაობას.

მან 1918 წელსვე დააარსა უნივერსიტეტში ქიმიის კათედრა, რომელიც შემდეგ ორად გაჰყო: ორგანული და არაორგანული ქიმიის კათედრებად, ორგანული ქიმიის კათედრას თავად ჩა-

* პეტრე მელიქიშვილის პირადი ფონდის ორიგინალი ფოტოები დაცულია ოდეის საოლქო არქივში. ელექტრონული ვარიანტები ინახება თსუ მუზეუმში.



მისი უმაღლესობის რუსეთის იმპერატორ ალექსანდრე ალექსანდრეს ძის მიერ გაცემული დიპლომი პეტრე მედიკოვილზე ქიმიის მაგისტრის წოდების მინიჭების თაობაზე. ოდესა. 1884 წლის 17 მარტი.

საქართველოს ეროვნული არქივი



მისი უმაღლესობის რუსეთის იმპერატორ ალექსანდრე ალექსანდრეს ძის მიერ გაცემული დიპლომი პეტრე მედიკოვილზე ქიმიის დოქტორის ხარისხის მინიჭების თაობაზე. ოდესა. 1885 წლის 16 მაისი.

საქართველოს ეროვნული არქივი

უდგა სათავეში, ხოლო არაორგანული ქიმიის კათედრა ოდესის უნივერსიტეტიდან ჩამოყვანილ თავის მოსწავლეს იასონ მოსემ-ვილს ჩააბარა.

აქვე უნდა ითქვას ისიც, რომ, მიუხედავად იმისა, რომ პეტრე მელიქიშვილი 50 წელზე მეტი ხნის განმავლობაში მუშაობდა რუსეთში და ქართული ენა თითქმის დავიწყებული ჰქონდა, იგი ქართულად კითხულობდა ლექციებს.

რექტორის პოზიციაზე პეტრე მელიქიშვილი დიდხანს არ ყოფილა, არჩევიდან წელიწადნახევრის შემდეგ საკუთარი განცხადების საფუძველზე გადადგა და დარჩენილი წლები მთლიანად მეცნიერულ მოღვაწეობას მიუძღვნა.

1923 წელს მისი სამეცნიერო მოღვაწეობის 50 წლისთავი აღინიშნა. მალევე იგი აირჩიეს საბჭოთა კავშირის მეცნიერებათა აკადემიის წევრ-კორესპონდენტად, თუმცა მას ამ რანგში მოღვაწეობა დიდხანს აღარ დასცალდა.

1927 წელს დიდი ქართველი მეცნიერი გარდაიცვალა.

დაკრძალულია ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის პირველი კორპუსის წინ მდებარე პანთეონში, სადაც დგას იაკობ ნიკოლაძის მიერ შესრულებული მისი ბიუსტი.




პატრია მელიქიშვილი და უნივერსიტეტი

იმ დროს, როცა საქართველოში გაცხარებული ბრძოლა მიმდინარეობდა ქართული უნივერსიტეტის დაარსებისთვის და ქართველი ინტელიგენცია, ივანე ჯავახიშვილის მეთაურობით, ნაბიჯ-ნაბიჯ მიიწეოდა მიზნისკენ, სერიოზულად იდგა პრობლემა. ვის უნდა წაეკითხა ლექციები ახლად დაარსებულ უნივერსიტეტში, როცა ქვეყანას არ ჰყავდა სათანადო კადრები და თუ ჰყავდა, ისინიც მიმოფანტული იყვნენ მსოფლიოს სხვადასხვა კუთხეებში? სწორედ ეს საკითხი იყო ერთ-ერთი არგუმენტი იმ ადამიანებისთვის, ვინც წინააღმდეგი იყო ქართული უნივერსიტეტის გახსნისა, რადგან მიაჩნდათ, რომ სამეცნიერო კადრებისა და ქართული სამეცნიერო ტერმინოლოგიის არარსებობის გამო, ეს საქმე ჩანასახშივე დასალუჰად იყო განწირული. ივანე ჯავახიშვილი კი ჯიუტად ამტკიცებდა, რომ ქართული ენა და ქართველი ინტელიგენციის რესურსები უნივერსიტეტის გახსნის შესაძლებლობას იძლეოდა.

„მისი რექტორად არჩევა დიდ პრასტიჟს შეუქმნის უნივერსიტეტს“

იდგა 1917 წელი. ივანე ჯავახიშვილი და მისი თანამოაზრენი თითქმის მიუახლოვდნენ მიზანს, რისთვისაც იმართებოდა შეკრებები და მსჯელობდნენ როგორ დაეწყოთ საქმე, რომელიც საქართველოში უმაღლესი განათლების მიღებისთვის ნოყიერ ნიადაგს შექმნიდა. განსახილველ საორგანიზაციო საკითხთა შორის იყო პროფესორთა მონვევის საკითხიც.

და, აი, 1917 წლის 9 ოქტომბერს ივანე ჯავახიშვილის მეთაურობით მონვეულმა ქართული უნივერსიტეტის საზოგადოების გამგეობისა და საფინანსო კომისიის გაერთიანებულმა კრებამ ნოვოროსიის (ოდესის) უნივერსიტეტის დამსახურებულ პროფესორს — პეტრე მელიქიშვილს, პეტროგრადის უნივერსიტეტის დოცენტს ივანე ჯავახიშვილსა და მოსკოვის უნივერსიტეტის დოცენტს ანდრია რაზმაძეს დაავალა ქართული უნივერსიტეტისთვის პროფესორების მონვევა და პროფესორთა კოლეგიის შედგენა.



უნივერსიტეტის დამფუძნებლები პეტრე მელიქიშვილი და ივანე ჯავახიშვილი

ამავე სხდომაზე მოისმინეს ივანე ჯავახიშვილის მოხსენება სამკურნალო ფაკულტეტის დაარსების თაობაზე. იგი ითხოვდა, ჯერჯერობით დაარსებულიყო ერთი — სიბრძნისმეტყველების ანუ საფილოსოფოსო ფაკულტეტი, ხოლო შემდეგ მას დამატებოდა სამედიცინო ფაკულტეტი, რისი ორგანიზების შესახებაც დახმარებისთვის მიმართა ქართველ ექიმთა და ბუნებისმეტყველთა საზოგადოებას და რუსეთში მოღვაწე ქართველ მეცნიერს გაბრიელ დამბარაშვილს. „პეტრე მელიქიშვილი მიემხრო ივანე ჯავახიშვილს. „ჯერჯერობით საფილოლოგო ფაკულტეტი უნდა გაიხსნას, რაც შედარებით უფრო ადვილია და იაფიც: მერე საბუნებისმეტყველო ფაკულტეტი და ამის შემდეგ სამკურნალო ფაკულტეტი“, — განუცხადებია მას კრებაზე (ს. ჯორბენაძე; „თბილისის უნივერსიტეტის მოკლე ისტორია“; 1988 წ.; თბ.: გვ. 37).

ქართული უნივერსიტეტის ოფიციალურ გახსნამდე რამდენიმე დღე იყო დარჩენილი. უნივერსიტეტს უკვე ჰქონდა წესდება, სასწავლო გეგმა, პირველი საჭიროების ავეჯი, მცირე ბიბლიოთეკა (პირველი ბიბლიოთეკა უნივერსიტეტს, ანდერძის თანახმად, გადმოსცა ცნობილმა კრიტიკოსმა კიტა აბაშიძემ)... დადგენილი იყო უნივერსიტეტის გახსნის თარიღიც — 1918 წლის 26 იანვარი (ახალი სტილით, 8 თებერვალი) — დავით აღმაშენებლის ხსოვნის დღე. რჩებოდა მხოლოდ ერთი საორგანიზაციო საკითხის მოგვარება — უნივერსიტეტის პირველი რექტორის არჩევა.

„1918 წლის 13 იანვარს შედგა ქართული უნივერსიტეტის პროფესორთა კოლეგიის პირველი ოფიციალური სხდომა. იგი დაიწყო 11:30 საათზე ქართული გიმნაზიის შენობის ცივ ოთახში, სადაც ამჟამად პრორექტორების კაბინეტია. სხდომას ესწრებოდნენ: ფ. გოგიჩაიშვილი, ექვთ. თაყაიშვილი, პ. მელიქიშვილი (თავმჯდომარე), შ. ნუცუბიძე, ი. ყიფშიძე, ა. შანიძე (მდივანი), ივ. ჯავახიშვილი. არჩეულ იქნა უნივერსიტეტის გამგეობა. სხდომის მონაწილეებმა ივანე ჯავახიშვილს უნივერსიტეტის რექტორობა სთხოვეს, რაზედაც მან კატეგორიული უარი განაცხადა და რექტორად პროფესორი პეტრე მელიქიშვილი დაასახელა. თავისი უარი, ექვთიმე თაყაიშვილის აღნიშვნით, მან შემდეგნაირად დაასაბუთა: „პეტრე მელიქიშვილი დიდად ცნობილი მეცნიერია როგორც რუსეთში, ისე საზღვარგარეთ და მისი არჩევა დიდ პრესტიჟს შეუქმნის უნივერსიტეტსო“ (ს. ჯორბენაძე; „თბილისის უნივერსიტეტის მოკლე ისტორია“; 1988 წ.; თბ.: გვ. 40).

ივანე ჯავახიშვილის ეს წინადადება ერთხმად მიიღეს და თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის პირველ რექტორად აირჩიეს მსოფლიოში ცნობილი ქართველი მეცნიერი პეტრე მელიქიშვილი. ეს იყო საუკეთესო არჩევანი!

1918 წლის 17 იანვარს (ძველი სტილით) პეტრე მელიქიშვილის ბინაზე კვლავ შეიკრიბა პროფესორთა საბჭო, რომელმაც ამჯერად განიხილა ლექტორთა მონვევის საკითხი და უნივერსიტეტის გახსნის რეგლამენტის პროექტი.

ქართული უნივერსიტატის გახსნა

დადგა ქართველი ერის ისტორიაში უმნიშვნელოვანესი თარიღი — 26 იანვარი (ახ. სტილით 8 თებერვალი). წყნეთის ქუჩის 41 ნომერში - გიმნაზიის შენობაში გაიხსნა ქართული უნივერსიტეტი. მას იმ დროისთვის ეჭირა სამი ოთახი შენობის სამხრეთ ფრთაში... ვრცელმა დარბაზმა ვერ დაიტია მოზღვავებული ხალხი, რომელიც ითხოვდა გახსნის ცერემონიალის გადატანას უნივერსიტეტის ეზოში. ასეც მოხდა და 1 საათსა და 20 წუთზე ზემოც დაიწყო.

აკაკი ჩხენკელის შესავალი სიტყვის შემდეგ მისასალმებელი სიტყვით გამოვიდა უნივერსიტეტის პირველი რექტორი პეტრე მელიქიშვილი. აი, როგორ აღწერენ ამ გამოსვლას: „მან ილაპარაკა რუსულად და ქართულად. გამოთქვა დიდი სიხარული პირველი ეროვნული უნივერსიტეტის დაარსების გამო... ის ლაპარაკობდა უნივერსიტეტის წინაშე მდგარი ამოცანების შესახებ, კაცობრიობის პროგრესულ განვითარებაში მეცნიერების უმნიშვნელოვანესი როლის შესახებ, იმაზე, თუ რა დაუოკებელია ადამიანის სწრაფვა სულიერი ცხოვრებისადმი, მეცნიერებისადმი, რომ თვით „სასტიკ, არსებობისთვის საშინო დროსაც, როგორც ცალკეული პირები, ისე მთელი ხალხი ესწრაფვის ინტენსიურ მოღვაწეობას, განსაკუთრებით სულიერ სფეროში“. იგი დასძენს: „და ჩვენც დღეს განვიცდით მძიმე წუთებს, ჩვენს არსებობას საფრთხე ემუქრება. ამისდა მიუხედავად, ჩვენ გვაქვს მოთხოვნილება შემოქმედებისა და აღმშენებლობის. ჩვენ ქართველები მცირე ხალხი ვართ, ჩვენ არ ვთამამდებით შევადართო საკუთარი თავი დიდ ხალხებს. ჩვენი სწრაფვაც ასევე მოკრძალებულია, ჩვენ გვსურს იმ ენაზე, რომელზედაც პირვე-

**1918 წლის 26 იანვარი.
თბილისის სახალხოვნო უნივერსიტეტის რაქტორის
პატრია მელიქიშვილის სიტყვა, წარმოთქმული უნივერსიტეტის
გახსნასთან დაკავშირებულ ზამიზა***

საზოგადო სამეცნიერო კვლევაძიების გარდა, ჩვენი უნივერსიტეტის მთავარს მიზანს ჩვენი ქვეყნის მეცნიერული შესწავლა შეადგენს. ვინ არ იცის, რა ძვირფასი განძია შენახული მეცნიერებისათვის კავკასიის მრავალგვარს ენებში და ქართულის მრავალსაუკუნოვან სამწერლობო ენასა და კილოებში. ამიტომაც არის, რომ უკვე კარგა ხანია, რაც ევროპელ მეცნიერთა გულისყური ამ საგნისაკენ იყო მიპყრობილი. მხოლოდ ჩვენი ენების სრული თავისებურებებით აიხსნება, რომ მათ ენათმეცნიერების ამ დარგის სიძნელე ჯეროვნად ვერ სძლიეს. ვინ არ იცის, რაოდენ საგულისხმოა ჩვენი ქვეყნის წარსულიცა და ნივთიერი კულტურაც, რომელთა მრავალრიცხოვანი ძეგლები ჩვენს სამშობლოს ამკობენ და მნახველთა თვალს აკვირვებენ. არც გასაკვირველია, რომ ჩვენი უნივერსიტეტის არსებობას საფუძველი სწორედ ჰუმანურ მეცნიერებათა დარგის მონყობით ედება, მაგრამ მარტო ამ მხრივ ხომ არ არის საყურადღებო ჩვენი ტურფა საქართველო. მისი ბუნება მიმზიდველია მეცნიერისათვის არა მარტო თავისი გარეგანი სილამაზით, არამედ იმ საიდუმლოებით, რომლითაც სავსეა მისი გული. ჩვენში, მაგალითად, ბევრი ისეთი მცენარეა შენახული, ახლაც ცოცხლობს და ხარობს, რომელნიც ევროპაში დიდი ხანია გაქრნენ უკვალოდ. მაშასადამე, ჩვენი ქვეყნის ბუნება მეცნიერისათვის ცოცხალი ნიგნია, რომელშიც მრავალსაუკუნოვანი წარსულის ამოკითხვა შეიძლება.

მეტად მდიდარია ჩვენი სამშობლო აგრეთვე სამკურნალო ნყლებით, რომელთაც დიდი მნიშვნელობა აქვთ განკურნებაში, მაგრამ მომეტებული მათგანი საკმარისად მეცნიერულად შესწავლილი არ არის არც შემადგენლობის მხრივ. აი, აქაც რაოდენი სამეცნიერო სამუშაო არის ქიმიკოსებისა და მეურნალებისათვის.

კიდევ ბევრი რამ ითქმის, მაგრამ ესეც კმარა. ის მხურვალე სიყვარული მეცნიერებისადმი, რომელთაც ყოველი ჩვენგანი, ამ დიდი საქმის განხორციელების მონაწილეთაგანია გამსჭვალული, და ის ალტაცება, რომელიც ქართულ საზოგადოებას ეტყობა, იმის თავედებია, რომ ჩვენი უნივერსიტეტი წარმატების გზას დაადგება, რომ იგი დღევანდელი იქნება და მომავალში აყვავდება. იმედი მაქვს, რომ ამას ჩვენი უნივერსიტეტის სტუდენტებიც თავიანთი მხნე და ნაყოფიერი მუშაობით ხელს შეუწყობენ და მოემზადებიან მომავალი მუშაობისთვის ჩვენი სამშობლოს საკეთილდღეოდ.

პ. მელიქიშვილი
სუიცსა, ფონ. 471, აღწ. 1, საქმე 8, ფურ. 2-3. დედანი, ავტოგრაფი.

* ხელნაწერი დაცულია საქართველოს ეროვნულ არქივში



უნივერსიტეტის დამაარსებლები

ლად გავიგონეთ დედის ალერსი და პირველად ავლაპარაკდით, მოვისმინოთ მეცნიერული ჭეშმარიტებანი და ის ჰუმანიტარული პრინციპები, რომლებიც ნამდვილი კულტურის საფუძვლებია. ჩვენ ვაფუძნებთ ქართულ უნივერსიტეტს იმისათვის, რომ საშუალება მივცეთ ჩვენს ხალხს მშობლიურ ენაზე გაეცნოს და აითვისოს მეცნიერული ჭეშმარიტების საწყისები და აგრეთვე საშუალება მივცეთ ჩვენს მეცნიერულ ძალებს შეისწავლონ ჩვენი სამშობლო — საქართველო და კავკასია“ (ს. ჯორბენაძე; „თბილისის უნივერსიტეტის მოკლე ისტორია“; 1988 წ.; თბ.: გვ. 43).

ამავე სიტყვაში პეტრე მელიქიშვილმა გაიხსენა გერმანიაში ყოფნის დროს მისი შეხვედრა ცნობილ ავსტრიელ ლინგვისტ შუხარდტთან, რომელსაც უთქვამს — ქიმიას ხომ ისედაც ყველა სწავლობს მსოფლიოში, რატომ არ იკვლევ უმდიდრესი ქართული ენის ბუნებასო? ამ სიტყვების მოშველიება დასჭირდა პეტრე მელიქიშვილს იმის დასადასტურებლად, რომ უნივერსიტეტის მუშაობას ჰუმანიტარული მეცნიერებები უნდა დასდებოდა საფუძვლად, მასთან ერთად კი განვითარებულიყო საბუნებისმეტყველო-სამათემატიკო მეცნიერებები, რაც, თავის მხრივ, ხელს შეუწყობდა კავკასიის ბუნებრივი სიმდიდრეების შესწავლას და მათემატიკის, ფიზიკის, გეოლოგიის, ქიმიის დარგების განვითარებას საქართველოში.



პეტრე მელიქიშვილი კოლეგებთან და მოსწავლეებთან

პეტრე მელიქიშვილი სულ მხოლოდ წელიწადნახევარი იყო უნივერსიტეტის რექტორი. ამ ხნის განმავლობაში, როგორც უნივერსიტეტის პროფესორთა საბჭოს ოქმები იუწყება, უნივერსიტეტმა არაერთი ნაბიჯი გადადგა პირველი ქართული უმაღლესი სასწავლებლის სრულყოფისთვის: მოიწვიეს არაერთი ცნობილი მეცნიერი ლექციების წასაკითხად (პირველ სემესტრში უნივერსიტეტში ლექციებს კითხულობდნენ: იოსებ ყიფშიძე, კორნელი კეკელიძე, დიმიტრი უზნაძე, ფილიპე გოგიჩაიშვილი, შალვა ნუცუბიძე, გიორგი ახვლედიანი, აკაკი შანიძე, იუსტინე აბულაძე, ე. ორბელიანი, ილია ყიფშიძე, ვანდა ლამბაშიძე), დაადგინეს, რომ უნივერსიტეტში სწავლა შეეძლო ნებისმიერ მოქალაქეს, განურჩევლად ეროვნების, სქესის და რელიგიური აღმსარებლობისა, დაამტკიცეს ბეჭედი, შეიმუშავეს სასწავლო გეგმები, საფუძველი ჩაუყარეს ახალი ფაკულტეტების დაარსებას, ხელი შეუწყვეს არა ერთი სამეცნიერო დისციპლინის განვითარებას. ყველა ის დიდი სამეცნიერო-საგანმანათლებლო საქმე, რაც თბილისის უნივერსიტეტში 1918-19 წლებში მიმდინარეობდა, ხორციელდებოდა უნივერსიტეტის პირველი რექტორის — პეტრე მელიქიშვილის მხარდაჭერითა და ზოგჯერ უშუალო ინიციატივით.

1918 წლის 31 მარტს თბილისის უნივერსიტეტის რექტორის პეტრე მელიქიშვილის სახელზე მოვიდა ჩრდილოეთ ოსეთის სამოსწავლო საბჭოს წერილი, რომელშიც იყო მილოცვა პირვე-

ლი ქართული უნივერსიტეტის გახსნის თაობაზე. საბჭო ასევე კითხულობდა — შეეძლოთ თუ არა ოსებს განათლება მიეღოთ თბილისის უნივერსიტეტში. უნივერსიტეტის პროფესორთა საბჭოს მიერ მოწონებულ პასუხში, რომელსაც პეტრე მელიქიშვილი აწერდა ხელს, ნათქვამია: „ლექციები იკითხება ქართულ ენაზე. უნივერსიტეტში მიიღებიან ორივე სქესის პირები საშუალო განათლებით, განურჩევლად ეროვნებისა და სარწმუნოებისა“, — წერილი მთავრდებოდა იმის აღნიშვნით, რომ „მიღებულია ლონისძიებანი მთიელთა ენის სწავლებისათვის, უპირატესად კი ოსური ენის სწავლებისათვის“ (ს. ჯორბენაძე; „თბილისის უნივერსიტეტის მოკლე ისტორია“; 1988 წ.; თბ.: გვ. 50).

უნივერსიტეტის დაარსებიდან პირველ სემესტრში მხოლოდ ერთი — სიბრძნისმეტყველების ფაკულტეტი ფუნქციონირებდა. შემდგომ კი დაუღალავად შრომობდნენ ახალ-ახალი ფაკულტეტების გასახსნელად.

პეტრე მელიქიშვილი, ცხადია, უპირველესად, ცდილობდა ქიმიის დარგის განვითარებას, რასაც უდავოდ ხელი შეუწყო იმან, რომ 1918 წელს თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში დააარსა ქიმიის კათედრა, ხოლო 1919 წელს, მიწის სახალხო კომისარიატისა და წყლის მეურნეობის სამმართველოს ხაზით — არაორგანული და ორგანული ქიმიის ლაბორატორიები.

მისივე დამსახურებად უნდა ჩაითვალოს, რომ საქართველოში საფუძველი ჩაეყარა აგრონომიული ქიმიის დამოუკიდებელ დისციპლინად არსებობას (ზოგადად პეტრე მელიქიშვილი ითვლებოდა აგროქიმიური დარგის კარგ ორგანიზატორად).

დრო, როცა პეტრე მელიქიშვილს უნივერსიტეტის რექტორობა მოუწია, საქართველოსთვის მეტად მძიმე იყო. ამ პერიოდში გამწვავდა სამხედრო-პოლიტიკური ვითარება და თბილისს ოსმალეთის მხრიდან ოკუპაციის საფრთხე დაემუქრა (2 აპრილს ოსმალებმა დაიკავეს ბათუმი).

პეტრე მელიქიშვილმა და პროფესორთა საბჭოს 8 წევრმა (ივანე ჯავახიშვილი, ექვთიმე თაყაიშვილი, კორნელი კეკელიძე, ფილიპე გოგიჩაიშვილი, აკაკი შანიძე, შალვა ნუცუბიძე, გიორგი ახვლედიანი, იოსებ ყიფშიძე) 1918 წლის 3 აპრილს გამოიტანეს დადგენილება, რომ „არ დაიკეტოს უნივერსიტეტი, ლექციების კითხვა გაგრძელდეს. იმ სტუდენტთა და მსმენელთათვის რომელნიც ომში წავლენ, გამოტოვებული ლექციები განმეორებულ იქნეს“. ამავე დროს რექტორმა გამოსცა დადგენილება, რომ



თსუ-ის პირველი ბეჭედი

გაძლიერდეს უნივერსიტეტის დაცვა: „ეთხოვოს ვისაც ჯერ არს – დაყენებულ იქნეს საიმედო დარაჯები და ყოველგვარი ზომები იქნას მიღებული, რომ საომარ ასპარეზობად არ გახდეს უნივერსიტეტისა და მუზეუმის ახლო-მახლო მიდამოები. საშიშროების მოახლოების დროს პროფესორები უნივერსიტეტის შენობაში უნდა დარჩნენ და ხელი შეუწყონ მის დაცვას“, — (ს. ჯორბენაძე; „თბილისის უნივერსიტეტის მოკლე ისტორია“; 1988 წ.; თბ.: გვ. 50). ეს დადგენილება არის უნივერსიტეტისა და ქართული საქმისადმი ერთგულების დადასტურება და იმის მაგალითი, რომ უნივერსიტეტი, მართლაც, ხელშეუხებელი და წმინდა ტაძარი იყო არა მხოლოდ მისი შემქმნელებისთვის, არამედ მთელი ქართული საზოგადოებისთვის, რომელიც აღფრთოვანებაში მოვიდა ამ განცხადებით. მართლაც, უნივერსიტეტის პროფესორებს ამ პერიოდში არათუ ლექციების კითხვა არ შეუწყვეტიათ, ხელიც არ შეუშლიათ სამეცნიერო-კვლევითი საქმიანობისთვის.

1918 წლის 5 თებერვალს (ძვ. სტილით) უნივერსიტეტის პროფესორთა საბჭომ, პეტრე მელიქიშვილის თავმჯდომარეობით, დაამტკიცა უნივერსიტეტის ბეჭედი (მხატვარმა დიმიტრი შევარდნაძემ წარადგინა სამი ნიმუში, რომელთაგან ერთი —

დაამტკიცა. მასზე გამოსახული იყო შველი, რომელიც ძუძუს აწოვებს ნუკრს. აქ შველი მასაზრდოებელი დედის Alma Mater-ის იდეას გამოხატავს. ბეჭედს ირგვლივ შემოვლებული ჰქონდა ტრადიციული არშია – ბალთები. სწორედ ამ ბეჭედის ესკიზებით შეიქმნა შემდგომ უნივერსიტეტის გერბიც).

„პეტრე მელიქიშვილი, მიუხედავად იმისა, რომ 50 წელზე მეტი ცხოვრობდა რუსეთში და მშობლიური ენა დავიწყებული ჰქონდა, ლექციებს მაინც ქართულ ენაზე კითხულობდა... ქართულად წაკითხული ლექციები ქიმიამში — ეს იყო ქიმიური ტერმინოლოგიის პირველი წყარო. დღეს ჩვენ პეტრე მელიქიშვილს უნდა ვუმაღლოდეთ ქართულ ენაზე ქიმიური ტერმინოლოგიის შექმნას“, — ნერდა ცნობილი ქართველი მეცნიერი-ქიმიკოსი ივანე გვერდნითელი თავის წიგნში „პეტრე გრიგოლის ძე მელიქიშვილი – ცხოვრება და მოღვაწეობა“ (1975 წ. გვ. 12).

უნდა ითქვას, რომ პეტრე მელიქიშვილს რექტორის თანამდებობაზე მუშაობის დროს ხელფასი არასოდეს აუღია.

1919 წლის ოქტომბერში უნივერსიტეტში სამწუხარო ფაქტი მოხდა. იმის გამო, რომ პეტრე მელიქიშვილსა და სამათემატიკო-საბუნებისმეტყველო ფაკულტეტის დეკანს ანდრია რაზმაძეს შორის უსიამოვნო საუბარი გაიმართა (გადმოცემით, ანდრია რაზმაძემ პ. მელიქიშვილის ბოლოდროინდელი სამეცნიერო კვლევები სათანადოდ არ შეაფასა), პეტრე მელიქიშვილმა პროფესორთა საბჭოს რექტორის პოზიციიდან და პროფესორობიდან გათავისუფლების თხოვნით მიმართა.

სხდომა, რომელმაც პეტრე მელიქიშვილის განცხადება გადადგომის თაობაზე დააკმაყოფილა, „პროფესორთა საბჭოს ოქმებში“ (2006 წ.; თბ, გვ. 179) ასეა აღწერილი:

სხდომას თავმჯდომარეობდა ჯერ ივანე ჯავახიშვილი, შემდეგ ექვთიმე თაყაიშვილი.

ივანე ჯავახიშვილმა პროფესორთა საბჭოს აცნობა, რომ სხდომა მონვეულია სასწრაფო წესით, რადგან 11 ოქტომბერს, ნაშუადღევს, ადგილი ჰქონდა ინციდენტს უნივერსიტეტის რექტორს პეტრე მელიქიშვილსა და პროფესორ ანდრია რაზმაძეს შორის. გაიმართა აზრთა გაცვლა-გამოცვლა, რის შემდეგაც პროფესორთა საბჭომ დაადგინა:

„1. პროფესორთა საბჭო ღრმა მწუხარებას გამოსთქვამს ინციდენტის გამო, რომელიც მოხდა 11 ოქტომბერს რექტორს, დამსახურებულ პროფესორ პეტრე მელიქიშვილსა და სამათემა-

თავადგომი
 12/1911
 თავადგომის სპეციალური
 ანკვირისიგებამ სპეციალურ
 73
 აქედანვე ვიხილავ სპეციალურ განმარტებას
 თავადგომის სპეციალურ თანამშრომელ
 ბიუსეთს და აქედანვე შევუძლია ვიხილო
 რაიმე ბიუსეთს
 პ. მელიქიშვილი
 1919 წლის 10
 X.

პეტრე მელიქიშვილის განცხადება გადადგომის თაობაზე პროფესორთა საბჭოს*

* ხელნაწერი დაცულია საქართველოს ეროვნულ არქივში

ტიკო-საბუნებისმეტყველო ფაკულტეტის დეკანს, ანდრია რაზმაძეს შორის და ჰგმობს მათ საქციელს.

2. დამსახურებული პროფესორი პ. მელიქიშვილი:

ა) განთავისუფლებულ იქმნეს, თანახმად შემოტანილი თხოვნისა, რექტორის თანამდებობიდან: ხოლო უარი ეთქვას მას პროფესორის მოვალეობიდან განთავისუფლებაზე.

3. წინადადება მიეცეს პროფ. ა. რაზმაძეს, თხოვნა შემოიტანოს, რათა განთავისუფლებული იყოს დეკანის თანამდებობიდან.“ (ოქმს ხელს აწერენ: ივ. ჯავახიშვილი, ა. ბენაშვილი, დ. უზნაძე, ს. ამირეჯიბი. ა. შანიძე, ვ. მოსეშვილი, გ. ახვლედიანი, ი. მოსეშვილი, ი. თიკანაძე, ს. ქურდიანი).

პეტრე მელიქიშვილმა ამის შემდეგ მთელი დარჩენილი ცხოვრება მოანდომა ქიმიის დარგის განვითარებასა და სრულყოფას საქართველოში.

ბოლო წლებში იგი მუშაობდა ორგანული ქიმიის კათედრაზე, ამავე დროს სათავეში ედგა უნივერსიტეტში ახლად დაარსებულ სასოფლო-სამეურნეო ფაკულტეტს.

მიუხედავად სოლიდური ასაკისა, პეტრე მელიქიშვილი აქტიურ პედაგოგიურ და საზოგადოებრივ მოღვაწეობას ეწეოდა: კითხულობდა ლექციებს ორგანულ და არაორგანულ ქიმიაში, ხელმძღვანელობდა სტუდენტებს, ამზადებდა მომავალ ქიმიკოსებს, მონაწილეობდა სამეცნიერო საზოგადოების დაარსებაში, მოხსენებებით გამოდიოდა სხვადასხვა სამეცნიერო კონფერენციასა თუ ყრილობაზე, სადაც განსაკუთრებით გამოკვეთდა საქართველოში სოფლის მეურნეობის პროდუქტებისა და ბუნებრივი სიმდიდრეების რაციონალურად გამოყენების აუცილებლობას.

პეტრე მელიქიშვილის სამეცნიერო ინტერესების სფერო იყო: არაორგანულ ქიმიაში — არაორგანული პეროქსიდების სინთეზი და თვისებები, ზემოყავეების სინთეზი და თვისებები; ორგანულ ქიმიაში — გლიციდური მჟავების ქიმია (ნაერთთა ახალი კლასი), აკრილის მჟავების ქიმია; მეტეორიტების ქიმია და აგროქიმია (სოფლის მეორნელობის პროდუქტების კვლევა).

პეტრე მელიქიშვილის მონაფეები იყვნენ ცნობილი მეცნიერები ნიკოლოზ ზელინსკი, პისარჟევსკი, ბოგატსკი (რუსეთში), ნინო ციციშვილი, რუსუდან ნიკოლაძე, მექი ბექაია და შალვა ცინცაძე, უნიჭიერესი ახალგაზრდა ქართველი მეცნიერი, რომელიც XX საუკუნის 30-იანი წლების რეპრესიებს შეეწირა (საქართველოში).

პეტრე მელიქიშვილის მოღვაწეობის და ხსოვნის უკვდავსა-ყოფად დღეს საქართველოს მეცნიერებათა ეროვნულ აკადემიაში არსებობს მისი სახელობის პრემია, თბილისში — მისი სახელობის ქუჩა, თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში — პეტრე მელიქიშვილის სახელობის სტიპენდია, აუდიტორია და კაბინეტი ბიბლიოთეკა.

უნივერსიტეტის პირველი რექტორის სამუშაო მაგიდა და პირადი ნივთები ინახება თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის მუზეუმში.



პეტრე მელიქიშვილი და მისი სტუდენტები ლაბორატორიაში*

* პეტრე მელიქიშვილის პირადი ფონდის ორიგინალი ფოტოები დაცულია ოდესის საოლქო არქივში. ელექტრონული ვარიანტები ინახება თსუ-ის მუზეუმში.

პეტრე მელიქიშვილის მეცნიერული მემკვიდრეობა

პეტრე მელიქიშვილის, როგორც უდიდესი მეცნიერის შესახებ სხვადასხვა დროს წერდნენ მისი თანამედროვენიც და მოწაფეებიც. ისინი განსაკუთრებით გამოკვეთდნენ მისი სამეცნიერო ნაშრომების ღირებულებას ქიმიის მეცნიერების განვითარებაში.


„ტფილისის უნივერსიტეტის მოამბე“, რომელიც პეტრე მელიქიშვილის სამეცნიერო მოღვაწეობის 50 წლისთავს მიეძღვნა და დიდი მეცნიერის სიცოცხლეშივე, 1923 წელს გამოვიდა, დანვრილებით აღწერს, პეტრე მელიქიშვილის სამეცნიერო ნაშრომების ღირებულებას.

პირველ რიგში მასში გაანალიზებულია ნაშრომი α - β უმაძლარი მჟავების შესახებ, რის შედეგადაც მან მაგისტრის და დოქტორის ხარისხი მოიპოვა. აღნიშნული ნაერთები ამ ნაშრომებში პეტრე მელიქიშვილს განხილული აქვს თითქმის ყველა მხრივ. დამზადებული აქვს მათი ყველა ნაწარმი როგორც ორგანული, ასევე არაორგანული რადიკალებით. მიღებული აქვს მრავალი იზომერი და გარკვეული აქვს ის არევ-დარევები, რომელიც არსებობდა ამ იზომერების აგებულების ნაირსახეობებში. საკვლევ პერიოდში მას გამოყენებული აქვს მხოლოდ ქვექლორმჟავა, მარილმჟავა, გოგირდმჟავა, სოდა, და კალიუმის ტუტე („ტფილისის უნივერსიტეტის მოამბე“, თბ. 1923 წ.; გვ. XII; ავტ. მ. შალამბერიძე).

სამეცნიერო გამოკვლევების მეორე დიდ ციკლად მოიხსენიებს ავტორი პეტრე მელიქიშვილის შრომებს პეროქსიდების შესახებ, რომლისთვისაც მას ლომონოსოვის პრემია მიენიჭა. ამ ნაშრომებში პეტრე მელიქიშვილმა დასვა ორი საკითხი: 1. აქვთ თუ არა მეტალოიდების ჭარბ-ჟანგებს უნარი მეტალ-ჭარბ-ჟანგების (პეროქსიდები) შეერთებისა მარილების მსგავსი ნაერთების წარმოსაქმნელად და თუ აქვთ, 2. როგორი აგებულებისაა ეს ჭარბ-ჟანგ-მჟავა მარილები: ნყალბად-ჭარბ-ჟანგის ტიპისა, თუ — არა... ამ კითხვებზე პასუხის მისაღებად ჩატარებულმა შრომებმა უდიდესი ღირებულება შეიძინა, რის შესახებაც წერდა სწორედ მ. შალამბერიძე: „ქიმიის განსაკუთრებული თავის შეტანა ამგვარი ნაერთების თაობაზე მთლიანად პეტრე მელიქიშვილის დამსახურებაა“.

გარდა ამ ორი უმნიშვნელოვანესი სამეცნიერო ციკლისა, პეტრე მელიქიშვილს აქვს ნაშრომები, რომლებშიც მოცემულია მეტეორიტების, ახტალის ტალახის, ყველის ნაირსახეობების, ღვინის, მარცვლეულის და სხვა სასოფლო-სამეურნეო ნაწარმის სამეცნიერო ანალიზი.

ჩამოთვლილთაგან განსაკუთრებით საინტერესოა მისი ნაშრომი ახტალის ტალახის შესახებ. მ. შალამბერიძე წერს: „მან საინტერესო დასკვნა გამოიყვანა Hilgardt-ის ჰიოპოთეზის შესახებ, რომლის მიხედვითაც მინაში NaCl და Na_2SO_4 -ის, აგრეთვე $\text{Ca}(\text{HCO}_3)_2$ -ის და $(\text{NH}_4)\text{HCO}_3$ -ის ერთმანეთზე მოქმედებით ჩნდება სოდა. პეტრე მელიქიშვილის აზრით, ამ რეაქციის მსვლელობის დროს გადამჭრელი მნიშვნელობა ეძლევა მინის კოლოიდურ მდგომარეობას, რომელიც ნაირ-ნაირ ნივთიერებას სხვადასხვა ოდენობითა ნთქავს და ამგვარად აშორებს ერთმანეთს რეაქციის პროდუქტებს. ეს მან დაამტკიცა რკინის და ალუმინის ჰიდროქსიდებით, რომლებიც კოლოიდებს წარმოადგენენ.“ („ტფილისის უნივერსიტეტის მოამბე“, თბ. 1923 წ.; გვ. XXXII);



აქვე განალიზებულია პეტრე მელიქიშვილის კვლევები რუსეთის ხორბლებში N-ის ოდენობის ამინდისგან დამოკიდებულების შესახებ. მან დაამტკიცა, რომ აზოტიანი ნაერთების ოდენობა წვიმიან წლებში არ აღემატება 14%, მაშინ, როცა იმავე ჯიშის ხორბლები გვალვიან წლებში შეიცავენ მას 21%-ით. ამას კი იგი იმით ხსნიდა, რომ აზოტიანი ნივთიერებანი გროვდება მარცვლებში მომნიფებამდე და თუ გვალვიან წლებში მარცვალი უფრო ადრე მნიფდება, ამის გამო აზოტმემცველი ნივთიერებაც შედარებით მეტად ჩანს, რადგან ნახშირწყლოვანი ნივთიერებები ან აღარ ემატება, ან, თუ ემატება, ნაკლებად. ამას გარდა, აღმოჩნდა, რომ ცომის გაფუების სიმაღლე მატულობს ცხელ და მშრალ წლებში – ეს შეეხება მარტო რბილი ხორბლის ჯიშებს: რქებრი ხორბლის თვისებები კი დამოუკიდებლად მიმდინარეობს ამინდისაგან.

პეტრე მელიქიშვილის თანამედროვენი წერდნენ, რომ დიდ მეცნიერს მეცნიერება პრაქტიკისა გარეშე ვერ წარმოედგინა. იგი მუდამ ამტკიცებდა, რომ „მხოლოდ მეცნიერების განვითარებაზე დაფუძნებულ ტექნიკას შეუძლია სწრაფი და ნაყოფიერი განვითარება“. მას მიაჩნდა, რომ მეცნიერი მხოლოდ მეცნიერებით უნდა იყოს გატაცებული და არა „ბინიერ საგნებზე“ ზრუნვით. მ. შალამბერიძე იხსენებს: „1898 წელს მან გამოაქვეყნა თავისი გამოკვლევა პერბორატების შესახებ ცნობილს გერმანული ქიმიური საზოგადოების ჟურნალში (Berichte der Deutschen Chemischen Gesellschaft). მან დაამზადა მრავალნაირი მარილი, და პირველ რიგში ნატრიუმის მარილი ბორაკიდან. ეს მარილი ადვილად მისაღებია, ჩვეულებრივ გარემოში მადეგარი და წყალში ჩვეულებრივ სითბოზე უშლელი, ხოლო სხვაფრივ ისეთივე თვისებებისა, როგორც დანარჩენი ჭარბ-ჟანგ-მჟავები, ე.ი. გათბობით გამოყოფს ჟანგბადს, გოგირდის მჟავით H_2O_2 ან O_3 , ხოლო HCl-ით Cl-სა და სხ. ეს თვისებები მას გამოსაყენებელს ჰყოფენ ქსოვილების გათეთრების საქმეში, მან ურჩია კიდევ ზოგიერთ პირს, გამოეყენებინათ მისი ეს გამოკვლევა, მაგრამ მისი რჩევით არ ისარგებლეს და პეტრე მელიქიშვილსაც ბევრი არ უღარდია ამაზე. შვიდი წლის შემდეგ კი, 1905 წელს, საფრანგეთში ჟოდენმა პატენტი აიღო ამგვარი ჰერბორატების დამზადებაზე. უცნობი იყო თუ არა ჟოდენისთვის პეტრე მელიქიშვილის აღმოჩენა, ეს ჩვენ არ ვიცით, ამ მოგონებას მხოლოდ აზრად აქვს, დაახასიათოს პეტრე მელიქიშვილი, როგორც მარტო წმინდა მეც-

ნიერებით გატაცებული, ყოველგვარ ანგარებას მოკლებული ადამიანი“ („ტფილისის უნივერსიტეტის მოამბე“, თბ. 1923 წ.; გვ. XXXIII);

პეტრე მელიქიშვილის პროგრესულობის და მეცნიერული ალღოს დამადასტურებელია ისიც, რომ ის ყველა საჯარო მოხსენებაში, რომელიც მას გაუკეთებია, განსაკუთრებულ აუცილებლობად მიიჩნევდა, რომ ერის ეკონომიკური აღორძინებისათვის აუცილებელი იყო სოფლის მეურნეობის განვითარება. იგი ამბობდა: ჩვენს სამშობლოს მშვენიერი ალპური საძოვრები მოეპოვება, მაშასადამე მესაქონლეობა და მეყველეობა უნდა განვავითაროთო; საქართველო ვაზის სამშობლოდ ითვლება, მაშასადამე, ჩვენს ღვინოსაც უნდა მოვუპოვოთ მსოფლიო ბაზარზე საპატიო ადგილი მისი დაყენება-მოვლის გაუმჯობესებითო; ასევე წერდა იგი ჩაის შესახებ.

ინტერვიუ აკადემიკოს შოთა სამსონიასთან

— ბატონო შოთა, როგორც მეცნიერი-ქიმიკოსი, როგორ შეაფასებთ პეტრე მელიქიშვილის სამეცნიერო და საზოგადოებრივ ღვაწლს?

— პეტრე მელიქიშვილის, როგორც მეცნიერის, მნიშვნელობა სცილდება ეროვნულ საზღვრებს. ის იყო და არის მსოფლიო მნიშვნელობის მეცნიერი, რომელზეც მენდელეევი ბრძანა: „პეტრე მელიქიშვილმა განამტკიცა ელემენტების პერიოდული სისტემა“.

პეტრე მელიქიშვილს გამოქვეყნებული აქვს 100-მდე ნაშრომი, რაც იმ პერიოდისთვის კოლოსალური შრომის მანიშნებელი იყო. მისი შრომები მიეძღვნა ორგანული და არაორგანული ქიმიის ფუნდამენტურ საკითხებს, მეტეორიტებისა და სოფლის მეურნეობის პროდუქტების ქიმიურ ანალიზს. ის ცნობილი იყო ასევე, როგორც ავტორიტეტული აგროქიმიკოსი.

68 წლის იყო, როდესაც ბატონი პეტრე საქართველოში დაბრუნდა. წარმოიდგინეთ, რა რთული უნდა ყოფილიყო ასაკოვანი მეცნიერისთვის იმ დროისთვის კარგად აღჭურვილი ლაბორატორიის დატოვება ოდესაში და თითქმის ცარიელ ადგილზე მოსვლა თბილისის უნივერსიტეტში, მაგრამ მან ეს უყოყმანოდ გააკეთა, შემოიკრიბა ახალგაზრდობა და დაიწყო ქიმიური მეც-

ნიერების დაფუძნება საქართველოში. მან დატოვა არა მარტო ბრწყინვალე მეცნიერული მემკვიდრეობა, არამედ მაღალი კვალიფიკაციის მქონე მემკვიდრეები, რომელთა შორის იყვნენ ქალბატონები: რუსუდან ნიკოლაძე და ნინო ციციშვილი (შემდგომში ქალბატონი ნინო სათავეში ჩაუდგა თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ორგანული ქიმიის კათედრას, ხოლო რუსუდან ნიკოლაძე – საქართველოს პოლიტექნიკური ინსტიტუტის არაორგანული და ზოგადი ქიმიის კათედრას).

მიუხედავად იმისა, რომ პეტრე მელიქიშვილი თითქმის 50 წელი მოღვაწეობდა რუსეთში, ლექციებს ქართულ ენაზე კითხულობდა, რითაც საფუძველი ჩაუყარა ქართულ მეცნიერულ ტერმინოლოგიას ქიმიამში.

— ცნობილია, რომ პეტრე მელიქიშვილი ქიმიის არაერთ სამეცნიერო მიმართულებაში მოღვაწეობდა. თქვენ რომელ დარგში განუღებ შრომებს მიიჩნევდით უპირატესად?

— პეტრე მელიქიშვილი გახლდათ მრავალმხრივი მკვლევარი, მაგრამ მისი ძირითადი კვლევის ობიექტი ორგანული ქიმია იყო.

აღსანიშნავია გლიცერინის მჟავას გარშემო პეტრე მელიქიშვილის მიერ შესრულებული ნაშრომები. ამ გამოკვლევებმა ნათელი მოჰფინეს ორგანულ ნაერთთა მნიშვნელოვანი კლასის – ჰიდროქსიმჟავების ქიმიურ ბუნებას. ამ ნაშრომების გამო დაწერა აკადემიკოსმა კურნაკოვმა: „ბატონმა პეტრემ უჯერი მჟავების ქიმიამში შესრულებული შრომებით სამუდამოდ დაიმკვიდრა ადგილი ქიმიის ისტორიაში“.

აკრილის მჟავას მაგალითზე პეტრე მელიქიშვილის ამ პიონერულმა გამოკვლევებმა შესაძლებელი გახდა შესწორების შეტანა ჰენრის წესში და უჯერი მჟავების სტრუქტურის დადგენა. ამ გამოკვლევების მნიშვნელობა ამით არ შემოიფარგლება. აღნიშნულ საკითხზე მუშაობისას პეტრე მელიქიშვილმა მიიღო ნაერთთა ახალი კლასი – გლიციდმჟავები, რომელთა დიდი თეორიული და პრაქტიკული მნიშვნელობა ეჭვს არ იწვევს. აღსანიშნავია, რომ ჩვენს სინამდვილეში რიგი პოლიმერული მასალების შექმნა შესაძლებელი გახდა სწორედ ამ ნაერთთა ბაზაზე.

გლიციდური მჟავების გამოკვლევების სერიიდან პეტრე მელიქიშვილის ნაშრომები ორგანულ ქიმიამში შესრულებულია „აგებულების და თვისების“ ურთიერთკავშირის პრინციპით, რამაც დიდად შეუწყო ხელი იმ პერიოდში ორგანულ ნაერთთა აგებულების თეორიის განმტკიცებას.

უჯერი მჟავების დარგში მიღებული გამოკვლევების შედეგებით პეტრე მელიქიშვილმა უზარმაზარი წვლილი შეიტანა ორგანულ ნაერთთა სტერეოქიმიის ჩამოყალიბების საქმეში. მან მიღებული შედეგებით დაამტკიცა, სტერეო- და გეომეტრიული იზომერიის არსებობა.

ბატონი პეტრეს პირველი მეცნიერული შრომები ჯერ კიდევ სტუდენტობის პერიოდში შესრულდა და ზოგიერთი აზო- და აზოქსინაერთების კვლევას ეხება. მიღებულმა შედეგმა დიდი მნიშვნელობა შეიძინა როგორც საღებავების წარმოების, ისე ამ ნაერთთა კლასში იზომერიის საკითხის შესწავლის საქმეში.

პეტრე მელიქიშვილის ერთერთ უმნიშვნელოვანეს ნაშრომად უნდა ჩაითვალოს ჰიდროქსიამინომჟავა-იზოსერინის მიღება, რომელიც წარმოადგენს კრამერის მიერ აბრეშუმიდან გამოყოფილი სერინის იზომერს. ამ საკითხმა მეცნიერთა შორის დიდი დისკუსია გამოიწვია, მაგრამ 1896 წელს ფიშერის მიერ სინთეზური გზით სერინის მიღებამ დისკუსიას წერტილი დაუსვა და პეტრე მელიქიშვილის მიერ იზოსერინისთვის დადგენილი ფორმულის სისწორე დაადასტურა.

— გარდა ქიმიის მეცნიერებაში შეტანილი წვლილისა, მისი თანამედროვენი აღნიშნავენ პეტრე მელიქიშვილის უდიდეს წვლილს მეცნიერების ორგანიზებაში...

— დიახ, ეს ასეც იყო. პეტრე მელიქიშვილი საქართველოში, და არა მარტო საქართველოში, აგროქომიური დარგის დიდი ორგანიზატორი იყო. 1919 წლიდან მან მინის სახალხო კომისარიატისა და წყლის მეურნეობის სამმართველოს ხაზით თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში ჩამოაყალიბა ქიმიური ლაბორატორიები, ასევე მევენახეთა საზოგადოება, რომლის საპატიო თავმჯდომარედაც იქნა არჩეული.

პეტრე მელიქიშვილი არის პირველი ქიმიკოსი, რომელმაც ორგანიზება გაუკეთა საქართველოს უმაღლეს სასწავლებლებში აგრონომიული ქიმიის ფორმირებას დამოუკიდებელ დისციპლინად.

1919 წელს თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში ჩამოყალიბდა აგრონომიული ფაკულტეტი, რომლის პირველი დეკანიც პეტრე მელიქიშვილი იყო. ფაკულტეტმა იარსება 1929 წლამდე. ეს ის თარიღია, როცა საბჭოთა ხელისუფლებამ მიიღო გადაწყვეტილება, თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტიდან გამოყოფილიყო დამოუკიდებელი სასოფლო-აგრონომიული ინსტიტუტი. აღნიშნულ პერიოდში თბილისის სახელმწიფო უნი-

ვერსიტეტის აგრონომიული ფაკულტეტი 1580-მა სტუდენტმა დაამთავრა.

ბატონი პეტრე იყო 1917 წელს დაარსებულ რუსულენოვან პოლიტექნიკურ ინსტიტუტში სასოფლო-სამეურნეო ფაკულტეტის ჩამოყალიბების ერთერთი ორგანიზატორი, სადაც იგი აგროქიმიაში კითხულობდა ლექციებს. აღსანიშნავია, რომ იგი ვიცე-პრეზიდენტის როლში ხელმძღვანელობდა სამხრეთ რუსეთის სასოფლო-სამეურნეო საზოგადოებას, ხოლო 1923-24 წლებში — ამავე საზოგადოებას საქართველოში.

პეტრე მელიქიშვილი ხშირად გამოდიოდა მოხსენებებით სასოფლო-სამეურნეო პროდუქტების ქიმიური შედგენილობის გამჯობების საკითხებზე;

საქართველოს სოფლის მეურნეობის პროდუქტების საკითხებზე პეტრე მელიქიშვილმა მუშაობა დაიწყო ჯერ კიდევ ოდესაში, ვასილ პეტრაშვილთან ერთად. მათ მიერ შესწავლილი იქნა ქართული ღვინო, ხილი და რძის ნაწარმების ქიმიური შედგენილობა. განსაკუთრებული ყურადღება დაუთმო პეტრე მელიქიშვილმა ამ საკითხების შესწავლას თბილისში ჩამოსვლის შემდეგ,

ბატონი პეტრეს გამოკვლევები აღწერილა შემდეგ ძირითად შრომებში:

- სამხრეთ რუსეთის ხორბლეულის გამოკვლევა;
- ოდესის მაზრის ღვინოები;
- რუსული ცხვრის ყველების ქიმიური შედგენილობა;
- თურქესტანის ხორბლის ქიმიური შედგენილობა;
- ჩაქვის ჩაის ანალიზი;
- ჩვენი სასმელ-საჭმლის ქიმიური შედგენილობა;
- ცხვრის ყველი;
- ჩვენი ღვინის ქიმიური შედგენილობა;
- ჩვენებური ყველი;
- ჩილეს გვარჯილა, როგორც მცენარეთა სასუქი;
- ფილოქსერამედეგი ნიადაგი და ა.შ.

ბატონი პეტრე იყო ის აგროქომიკოსი, რომელმაც დაადგინა ჩაის პლანტაციების გაშენებისათვის დასავლეთ საქართველოს კლიმატის და ნიადაგის ვარგისიანობა. მან შეისწავლა კლიმატური პირობებისა და ნიადაგის ნაყოფიერების უნარის გავლენა ხორბლის ხარისხზე.

იმდენად მნიშვნელოვანი საქმეები აქვს მას ნაკეთები, რომ შეუძლებელია პეტრე მელიქიშვილის ღვანლის მნიშვნელობის

გადაჭარბება ქიმიის ჩამოყალიბებისა და განვითარების საქმეში. საქართველოს დღევანდელ და მომავალ თაობებს შეუძლიათ იამაყონ, რომ ისინი დიდი პეტრე მელიქიშვილის თანამემამულენი არიან.

ქობულეთის მუხრანის
 სერენ ბეშქე

გის მტკიცად შემიჯობდა
 აქვენი მეცნიერება და მოღვაწეობა
 დღემდე ჩემთვის იყო სიბრძნე-
 სიბრძნე და სიბრძნე. დღემდე
 ჩემთვის იყო სიბრძნე და სიბრძნე.
 თქვენი 50 წლის წმინდა
 მკვიდრებისა.

ქობულეთის მუხრანის
 ბავშვების და სიბრძნე
 და აქვენი რეჟისორებისა

სადაღის სიბრძნე და
 იგივე სიბრძნე და სიბრძნე და
 მუხრანის მუხრანის მუხრანის
 მუხრანის მუხრანის მუხრანის
 მუხრანის მუხრანის მუხრანის
 მუხრანის მუხრანის მუხრანის
 მუხრანის მუხრანის მუხრანის
 მუხრანის მუხრანის მუხრანის
 მუხრანის მუხრანის მუხრანის
 მუხრანის მუხრანის მუხრანის
 მუხრანის მუხრანის მუხრანის

ქობულეთის მუხრანის
 ბავშვების და სიბრძნე
 და აქვენი რეჟისორებისა

ქობულეთის მუხრანის
 ბავშვების და სიბრძნე
 და აქვენი რეჟისორებისა

ქობულეთის მუხრანის
 ბავშვების და სიბრძნე
 და აქვენი რეჟისორებისა

ქობულეთის მუხრანის
 ბავშვების და სიბრძნე
 და აქვენი რეჟისორებისა

ქობულეთის მუხრანის
 ბავშვების და სიბრძნე
 და აქვენი რეჟისორებისა

ქობულეთის მუხრანის
 ბავშვების და სიბრძნე
 და აქვენი რეჟისორებისა

ქობულეთის მუხრანის
 ბავშვების და სიბრძნე
 და აქვენი რეჟისორებისა

მარიამ ჯამბაკური
 ორბელიანის მისალოცი
 ბარათი პეტრე
 მელიქიშვილის 50 წლის
 სამეცნიერო
 მოღვაწეობასთან
 დაკავშირებით*

* ხელნაწერი დაცულია საქართველოს ეროვნულ არქივში



პეტრე მელიქიშვილი მონაფებთან ერთად. მარცხნიდან სხედან:
დოქტ. მ. ს. ბექაია, პროფ. პ. გ. მელიქიშვილი, შ. ცინცაძე, ნ. ს. ციციშვილი.
დგანან: შ. კანდელაკი, დოც. მ. ი. შალამბერიძე.

მსოფლიო დონის მეცნიერთა მასწავლებელი

პეტრე მელიქიშვილის დამსახურებად ითვლება მსოფლიო დონის ორი დიდი მეცნიერის — ივანე ნიკურაძისა და შალვა ცინცაძისთვის გზის გაკვალვა, რომლებიც, ფაქტობრივად, პეტრე მელიქიშვილმა აღზარდა.

ივანე ნიკურაძე გახლდათ თბილისის უნივერსიტეტის სახელმწიფო სტიპენდიატი, რომელიც, პეტრე მელიქიშვილის დახმარებით, გერმანიაში, გიოტინგენში მოღვაწეობდა და რომელსაც სიცოცხლის ბოლომდე ჰქონდა ურთიერთობა და მიმონერა პეტრე მელიქიშვილთან. სწორედ პეტრე მელიქიშვილი ზრუნავდა და უგზავნიდა მას სტიპენდიას. იგი ივანე ნიკურაძის სამეცნიერო ხელმძღვანელსაც — ტამანსაც სწერდა იმის გასარკვევად, თუ როგორ მუშაობდა მისი ყოფილი მონაფე. ივანე ნიკურაძემ ერთი-ერთი შრომა, რომელიც გერმანულ ენაზეა შესრულებული, მიუძღვნა პეტრე მელიქიშვილის ხსოვნას. ეს შრომა დაცულია პეტრე მელიქიშვილის პირად ფონდში და ინახება საქართველოს ეროვნულ არქივში.

პეტრე მელიქიშვილის მეორე მოსწავლე, ასევე დიდი მეცნიერი შალვა ცინცაძე გახლდათ ანდრია რაზმაძის დის მეუღლე, სიძე. ცნობილია, რომ მისი ნიჭიერების გამო იგი უნივერსიტეტში პირდაპირ IV კურსზე დასვეს. პეტრე მელიქიშვილი ყველანაირად ცდილობდა, რომ მისთვის გზა გაეკვალა და ხელი შეეხყო. ბატონი პეტრე თითქმის ყოველ საღამოს იზარებდა თავისთან შალვა ცინცაძეს და ქიმიის საკითხებზე მსჯელობდნენ. შალვა ცინცაძე პეტრე მელიქიშვილის დახმარებით გაემგზავრა მოსკოვში და მასწავლებლის რეკომენდაციით დაიწყო მუშაობა პრიანიშნიკოვთან და ზელინსკისთან სამეცნიერო ლაბორატორიაში. პეტრე მელიქიშვილი ცდილობდა თავისი სტუდენტების შესახებ ინფორმაცია პირდაპირ ხელმძღვანელებისგან მოეპოვებინა და ამიტომ ზელინსკისთანაც აქტიური მიმონერა ჰქონდა. სამწუხაროდ, შალვა ცინცაძე 37-იანი წლების მსხვერპლი გახდა.



პ. მელიქიშვილი და შ. ცინცაძე

ივანე ნიკურაძის მიმონერა პატრე მელიქიშვილთან

20 ივნისი. 1925 წ.

ღრმად პატივცემულო ბატონო პროფესორო!

დიდად პატივცემულმა პროფესორმა ტამანმა გამაცნო შინაარსი თქვენი მისადმი მიმართულ წერილისა, რომლითაც მას ჩემთვის ქართულ უნივერსიტეტის მიერ სტიპენდიის დანიშვნის შესახებ ეცნობა.

უმთავრესი, რაიც ჩემი უნივერსიტეტში დატოვებულათ ჩარიცხვამ მომიტანა, არის ის მტკიცე მორალური ბაზა, ის ზნეობრივ-იდეური კავშირი



ი. ნიკურაძე

ჩვენი მეცნიერების ტაძართან, რომელიც უმთავრესი ფაქტორია ნაყოფიერ მეცნიერულ მოღვაწეობისათვის. თქვენი წყალობით მომეცა აგრეთვე მატერიალური შეძლება მშვიდ და ნაყოფიერ მეცნიერულ მუშაობის გაგრძელებისა.

ამ ცნობის მიღების შემდეგ, არ შემიძლიან ჩემს გულითად, უღრმეს მადლობას თქვენდამი გამოსავალი მივცე, მით უმეტეს ეხლა უკვე სტიპენდია დანიშნულია და ეს ჩემი ბუნებრივი, გულწრფელი მადლობა პირფერობათ არ ჩამომერთმევა.

გულით და სულით გისურვებთ დღეგრძელობას და კიდევ ბევრ წლებს როგორც აქამდის ნაყოფიერ და ღრმა მეცნიერულ მუშაობისათვის სამშობლოს და მთელი მეცნიერების გაძლიერების სასარგებლოთ.

ულრმესი პატივისცემით თქვენი მარად და მარად მორჩილი ივანე ნიკურაძე.



გიოტინგენი. 1 ივნისი, 1926 წ.

ღრმად პატივცემულო ბატონო პეტრე!

თქვენ მიერ ბათომიდგან გამოგ ზავნილ წერილმა უსაზღვროთ გამახარა. ვერ ვპოულობ შესაფერ სიტყვებს ამ წერილისათვის მადლობა გიძღვნათ.

თქვენი ჩემს გულისათვის ასეთი ზრუნველობა, რისაც წყალობით საშუალება მაქვს მეცნიერული მუშაობა ვაწარმოო და სათანადო მეცნიერული განვითარება მივიღო. მიიღეთ ასეთი ყურადღებისათვის ჩემი უღრმესი მადლობა. მეტად მოხარული ვიქნები თუ შევძელი ჩემი მეცნიერული მუშაობით ორიოდე ქვის ნაჭერის გამოთლა საქართველოს Alma Mater-ის სიმაგრის აღსაშენებლად.

ამჟამად ჩემთვის მეტად საინტერესო პრობლემებს ვამუშავებ, გარდა ამისა ვაბეჭვტინებ ჩემს რამოდენიმე ნაშრომებს, რომლებსაც ბეჭვდიდან გამოსვლის თანავე გადმოვიგ ზავნით.

იმ თანხისათვის (500 მან), რომლის გადადება ბატონმა რექტორმა ჩემთვის დაგპირდათ, დიდათ მადლობელი ვარ. თქვენის აზრით ამ თანხის გადმოგ ზავნა შეიძლება ისეთ ჩემი ნაცნობის სახელზე, რომელსაც ფული საქართველოდან არ მოსდის და თან ტფილისის უნივერსიტეტთან რაიმე დამოკიდებულება აქვს. ამ შემთხვევაში შეგვიძლია ჩემი ძმის ალექსანდრეს მისამართით ვისარგებლოთ. ალექსანდრემ ორი წლის წინად მიუნხენის პოლიტ. ინსტიტუტის ელექტრო-ტექნიკური განყოფილება დაამთავრა და შემდეგ დარჩა იმავე უმაღლეს სასწავლე-



აკადემიკოსი ნ. ზელინსკი და შ. ცინცაძე

ბელში სამეცნიერო სამუშაოთ. ამჟამად თავის სადოკტორო დისერტაციაზე მუშაობს. ერთი წლის წინათ ჩემი ძმა ალექსანდრე აიძულა მისმა მატერიალურმა მდგომარეობამ მიემართა სამშობლო უნივერსიტეტის საინჟინერო ფაკულტეტისათვის თხოვნით ჩაერიცხათ ის უნივერსიტეტთან დატოვებულად და მატერიალურად დახმარებოდათ. სამწუხაროთ პასუხი დღესაც არა აქვს. თუ ჩემს ძმას ალექსანდრეს სტიპენდია ჯერაც არა აქვს დანიშნული, იმ შემთხვევაში შეიძლება ჩემთვის გადადებული თანხა მის სახელზე (თვიურად რამდენიც შეიძლება) გადმოგზავნილი იქმნეს. და თუ ჩვენდა საბედნიეროთ ჩემს ძმას სტიპენდია დაენიშნა, მაშინ კი ამ თანხის გადმოგზავნა უთუოთ ძალიან გაძნელდება. ეგ თანხა კი ჩემი მეცნიერული მუშაობის გამო ამ წლის ბოლომდე გამოწვეულ წვრილმან ხარჯების დასაფარავად ძალიან დიდ სამსახურს გამიწვედა.

თქვენი მოკითხვა ბ-ნ პროფ. ტამან-ს გადავეცი, რამაც ძალიან გაახარა და მთხოვა სამაგიეროდ მაღლობა და სალამი თქვენთვის გადმომეცა.

თქვენი უღრმესად პატივის მცემელი და კეთილისმსურველი

ივანე ნიკურაძე.

პეტრე მელიქიშვილის პიროვნული შტრიხები

პეტრე მელიქიშვილის პირადი ცხოვრების შესახებ ინფორმაცია თითქმის არ მოიპოვება. ცნობილია მხოლოდ, რომ მას არ ჰყავდა ოჯახი და მთელ თავის ძალას და ენერგიას სამეცნიერო მუშაობას და მოსწავლეებს ახმარდა.

გადმოცემით, იგი საკმაოდ მკაცრი ბუნების ადამიანის შთაბეჭდილებას ტოვებდა, მაგრამ სინამდვილეში ამ გოროზი ბუნების ადამიანს მდიდარი შინაგანი სამყარო ჰქონია. „საკმარისი იყო, ვინმე დაახლოებოდა, მაშინვე მიხვდებოდა, რომ მეტად სათნო და მგრძნობიარე, ამავე დროს მომთხოვნი და შრომისმოყვარე ადამიანი იყო. მან კარგად იცოდა შრომისა და დროის ფასი“, — წერს ივანე გვერდნითელი თავის წიგნში (ი. გვერდნითელი „პეტრე გრიგოლის ძე მელიქიშვილი – ცხოვრება და მოღვაწეობა“; 1975 წ. გვ. 6).

იმ პერიოდში, როცა პეტრე მელიქიშვილი სამეცნიერო ასპარეზზე გამოვიდა, მსოფლიოში პოლიტიკური გარდაქმნების ერა იდგა, თუმცა იგი პოლიტიკას არ სწყალობდა, არასოდეს გაჰკარებია არც ერთ პარტიას და ადმინისტრაციულ თანამდებობას, თუ არ ჩავთვლით თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის რექტორობას, რაც, უნდა ვივარაუდოთ, იმის შედეგი იყო, რომ მან პირველ რიგში ქართული საქმისთვის ხელშეწყობა გადაწყვიტა და მეორეც — ნინ ვერ ალუდგა მისთვის უძვირფასესი მეცნიერისა და საზოგადო მოღვაწის — ივანე ჯავახიშვილის თხოვნას.

პეტრე მელიქიშვილის რექტორობის თითქმის ორმა წელმა (1918 წლის 13 იანვარი — 1919 წლის 11 ოქტომბერი) აჩვენა, რომ მას ორგანიზატორის უნარ-ჩვევებიც ჰქონდა და ინტუიციაც არ ღალატობდა, რადგან პროფესორთა საბჭოსთან ერთად ზუსტად საზღვრავდა — რომელი ფაკულტეტები გაიხსნებოდა პირველ ეტაპზე და ვინ ჩაუდგებოდა ახალ ფაკულტეტებს სათავეში. რექტორისა და პროფესორთა საბჭოს მეცნიერული ალლო და საქმისადმი ზედმინევენით დიდი პასუხისმგებლობა იყო სწორედ ის თვისებები, რომელმაც ახლად გახსნილი პირველი ქართული უნივერსიტეტი ფეხზე იმდენად მყარად დააყენა, რომ 1921 წლის საბჭოთა ანექსიამაც ვერ შეარყია.



პეტრე მელიქიშვილი ჟენევაში, 1912 წ.

პეტრე მელიქიშვილის მონაფეები განსაკუთრებით გამოყოფდნენ მის დამოკიდებულებას ახალგაზრდობისადმი. როგორც ისინი იხსენებენ, მეცნიერი „ადვილად ჩააბამდა ახალგაზრდას ლაბორატორიულ მუშაობაში თავისი იდეების განსახორციელებლად; ამიტომ პეტრე მელიქიშვილი სტუდენტთა შორის დიდი სიყვარულით და პატივისცემით სარგებლობ-

და. ამის შემდეგ რა გასაკვირია, რომ მრავალ ახალგაზრდას სურვილი ჰქონდა მასთან მუშაობისა“ (ი. გვერდნითელი „პეტრე გრიგოლის ძე მელიქიშვილი – ცხოვრება და მოღვაწეობა“; 1975 წ. გვ. 49).

მისი მონაფე ლ. პისარჟევსკი იხსენებს: „1880 წელს სტუდენტობამ გადაწყვიტა მოეწყო ნ. გ. ნეკრასოვის გარდაცვალების წლისთავი და გადაეხადა პანაშვიდი. პოლიციამ დააპატიმრა პანაშვიდის მონაწილე ყველა სტუდენტი, დაიხურა უნივერსიტეტი, ყველა დაპატიმრებულ სტუდენტს გამოეცხადა საყვედური, ხოლო 20-მდე სტუდენტი უნივერსიტეტიდან გარიცხეს და გადაასახლეს. ეს მოხდა ზამთარში. პეტრე მელიქიშვილმა თავის ბინაზე მიიწვია სტუდენტი ა. ბეზრედკა, კარადიდან გამოიღო საკუთარი ქურქი — თქვენ უფრო დაგჭირდებათო. შემდეგ გამოიტანა მთელი თავისი ფულადი დანაზოგი და მასვე გადასცა გადასახლებულთათვის დასახმარებლად“ (ი. გვერდნითელი „პეტრე გრიგოლის ძე მელიქიშვილი – ცხოვრება და მოღვაწეობა“; 1975 წ. გვ. 49). ეს კიდევ ერთი მაგალითია, თუ როგორი გულისხმიერებით გამოირჩეოდა მეცნიერი ახალგაზრდობისა და ადამიანებისადმი.

საქართველოში ჩამოსვლის შემდეგ პეტრე მელიქიშვილის მონაფეთა რიგებს ქართველი სტუდენტებიც შეუერთდნენ. მათ შორის იყვნენ შალვა ცინცაძე, რუსუდან ნიკოლაძე, ნინო ციციშვილი, მექი ბექაია და სხვები.



პეტრე მელიქიშვილის საზოგადოებრივ თუ მამულიშვილურ საქმიანობას დ. ჯორჯიკიას მოგონებები გვაცნობს. პეტრე მელიქიშვილის ყოფილი სტუდენტი დ. ჯორჯიკია დანვრილებით აღწერს პეტრე მელიქიშვილის ღვაწლს ოდესის უნივერსიტეტში.

დ. ჯორჯიკიას მოგონებებიდან*

ლაბორატორიაში პეტრე მელიქიშვილთან ერთად მონაწილეობას იღებდნენ ახალგაზრდები. პედაგოგმა შენიშნა, რომ ერთ-ერთი ქართველი ახალგაზრდა, შესვენების დროს, არ მიდი-

* დ. ჯორჯიკიას მოგონებები დაცულია საქართველოს ეროვნულ არქივში, პეტრე მელიქიშვილის პირად ფონდში

ოდა სადილზე და როცა ბატონმა პეტრემ გაიგო, რომ ახალგაზრდას შესაბამისი თანხა არ ჰქონდა, ძალიან შეწუხებულა. პეტრე მელიქიშვილმა სასწრაფოდ მისცა ახალგაზრდის მეგობარს თანხა მისთვის სასადილო ბარათის შესაძენად. ერთხელაც, პეტრე მელიქიშვილმა შესვენების პერიოდში ოთახიდან არავინ გაუშვა. უცებ გაიღო კარი და ლაბორატორიაში შემოსულა ოდესის უნივერსიტეტის რექტორი ვასილ პეტრიაშვილი და განათლების მინისტრი. როგორც დ. ჯორჯიკია იხსენებს, ყველა დაბნეულა, თუმცა პეტრე მელიქიშვილს მათი ვიზიტის შესახებ ინფორმაცია უკვე მიწოდებული ჰქონდა. ბატონ პეტრეს ხელმოკლე სტუდენტი წარუდგენია სტუმრებისთვის და უთხოვია, რომ მისთვის სტიპენდია დაენიშნათ.



ერთხელ, ლაბორატორიაში სტუდენტები მუშაობდნენ და ელოდებოდნენ პეტრე მელიქიშვილს. ერთ-ერთმა ონავარმა სტუდენტმა რაღაც ცდის ჩატარება მოინდომა და ერთი რეაქტივი შეცვალა რომელიღაც სხვა რეაქტივით, რამაც გამოიწვია ისეთი რეაქცია, რომ ნამსხვრევებად იქცა ჭურჭელი და ისეთი ხმა ჰქონდა, თითქოს ბომბი გასკდაო. სად დავმალულიყავით, არ ვიცოდით! როცა ეს ყველაფერი ჩანყნარდა, შევშფოთდით, რადგან არ ვიცოდით — ამას რა რეაქცია მოჰყვებოდა პეტრე მელიქიშვილის მხრიდან. ამიტომ სასწრაფოდ დავიწყეთ ყველაფრის მოწესრიგება და ეს იმდენად სწრაფად მოხდა, რომ ნამსხვრევებისგან არანაირი კვალი აღარ იყო დარჩენილი, გარდა სველი იატაკისა. სულგანაბულები ვისხედით და ველოდებოდით ბატონი პეტრეს შემოსვლას. იგი მშვიდად შემოვიდა და რომ დაინახა სველი იატაკი, მიხვდა სიტუაციას. შეშფოთებულმა იკითხა, ხომ არავინ დაშავებულაო. ჩვენ ვუთხარით, რომ აფეთქებით არავინ დაზიანებულა. პეტრე მელიქიშვილმა კი დასძინა: თქვენზე სწრაფად „გემბანს“ ვერავინ მოაწესრიგებდაო. ასე მშვიდად ჩაიარა სტუდენტების ონავარმა საქციელმა. (იგონებს დ. ჯორჯიკია).



პეტრე მელიქიშვილის გულისხმიერი დამოკიდებულება ვლინდება არა მხოლოდ სტუდენტებისადმი, არამედ საზოგადო-

ებისადმი. ერთხელ, ზამთარში, გვიან საღამოს შემოვიდა პეტრე მელიქიშვილი პალატოს გარეშე. შეშფოთდა დარაჯი და ჰკითხა — ბატონო პეტრე პალატო რა უყავით? მან უთხრა: შემხვდა გზაში ვინმე უპოვარი, რომელსაც არც ფეხზე ეცვა, არც ტანზე, სულ კანკალებდა და როგორ შემეძლო მე მისთვის რაიმე მაინც არ მენილადაო. (იგონებს ჯორჯიკია).



სამეცნიერო ხელმძღვანელის და მასწავლებლისადმი მადლიერების ნიშნად, 1924 წლის 17 თებერვალს მონაფეებმა წერილი მისწერეს პეტრე მელიქიშვილს. ისინი წერენ: „ძვირფასო და ღრმად პატივცემულო ჩვენო მასწავლებლო ბატონო პეტრე! დღეს, როცა ვზეიმობთ თქვენის ნაყოფიერის სამეცნიერო მოღვაწეობის ორმოცდაათი წლის იუბილეს, თქვენი მონაფენი და წევრნი ჩვენის მცირერიცხოვანის, მაგრამ მჭიდროთ შეკავშირებულ ქიმიურ ოჯახისა, მოგესალმებით თქვენ, ჩვენო ძვირფასო მასწავლებლო და ხელმძღვანელო და გისურვებთ, კიდევ დიდხანს ნაყოფიერს მუშაობას ჩვენი საყვარელ სამშობლოს საკეთილდღეოდ. მოგახსენებთ დიდს გულითადს მადლობას ჩვენი გონების დაუზარებელ და სიყვარულით აღსავსე ხელმძღვანელობისათვის, რომელსაც ჩვენ, თქვენი მონაფენი, მუდამ ვიღებდით თქვენგან. ვსარგებლობ შემთხვევით და განსაკუთრებით აღვნიშნავთ, რომ თქვენ თქვენის უმნიკვლო და უანგარო პიროვნებით ისე მოქმედებდით თქვენს თანამშრომლებზე, რომ ასეთი თქვენი ხასიათი სამუდამოდ დარჩება ჩვენთვის გამამხნევებელ და სიცოცხლის გზის მანათობელ მაგალითად“. წერილს ხელს აწერენ მ. ბუქაია. მ. შალამბერიძე, ნინო ციციშვილი (გადაშლილია შალვა ცინცაძის ხელმოწერა, რაც, სავარაუდოდ, მოგვიანებით, საბჭოთა ჩინოვნიკის მიერ უნდა იყოს ჩადენილი, რადგან შალვა ცინცაძე საბჭოთა რეპრესიების მსხვერპლი გახდა მხოლოდ იმიტომ, რომ იგი გერმანიაში იღებდა განათლებას, რის გამოც ანტისაბჭოთა საქმიანობა დაედო ბრალად. აქვე უნდა ვივარაუდოთ, რომ საბჭოთა ხელისუფლება და პროფესურა ცდილობდა, უდიდესი ქართველი მეცნიერი პეტრე მელიქიშვილი მათ მომხრედ წარმოეჩინათ, რისთვისაც ცდილობდნენ, ჩამოეცილებინათ მისთვის ყველა ის შტრიხი, რაც საწინააღმდე-



პეტრე მელიქიშვილი, ოდესის ქალთა კურსები

გოს დაამტკიცებდა. პეტრე მელიქიშვილი, ივანე ჯავახიშვილის მსგავსად, უდიდესი ავტორიტეტი იყო, თუმცა მისი სიკვდილი რომ არა, ვერავინ იტყვის, გადაურჩებოდა თუ არა იგი რეპრესიების წლებს).

პეტრე მელიქიშვილის, როგორც პროგრესულად მოაზროვნე მეცნიერის შესახებ ბევრი შეიძლება ითქვას და დაინეროს, რადგან მისი დამოკიდებულება საზოგადოებრივი საქმეებისადმი ამის საშუალებას იძლევა, თუმცა უნდა გამოვკვეთოთ მისი ღვანლი ქალთა ემანსიპაციაში.

პირველ რიგში გავიხსენოთ, რომ 1872 წელს, ოდესის უნივერსიტეტის საბუნებისმეტყველო ფაკულტეტის საბუნებისმეტყველო კურსის კანდიდატის ხარისხით დასრულების შემდგომ მან ერთი წელი იმუშავა თბილისში – ფაბრის კერძო ქალთა გიმნაზიაში ბოტანიკის მასწავლებლად. ეს მიმანიშნებელია იმისა, რომ იგი ინტერესს იჩენდა ქალთა განათლების საკითხებისადმი. მეცნიერის შემდგომი ცხოვრება და მოღვაწეობა კი მთლიანად მიუთითებს მის პროგრესულობასა და ქალთა ემანსიპაციისადმი სწორ დამოკიდებულებაზე.



ქართველის მოღვაწე ქალები: ან. თუმანიშვილი-წერეთლისა, ეკატერინე გაბაშვილისა და კეკე მესხისა (პეტრე მელიქიშვილის და)

პეტრე მელიქიშვილმა ერთერთმა პირველმა წაიყვანა თავისი და ეკატერინე საფრანგეთში სასწავლებლად. საერთოდ კი აქტიურ მოღვაწეობას ეწეოდა, რათა ქალებს საზღვარგარეთ მიეღოთ უმაღლესი განათლება. მასთან ერთად ამ საქმეში ჩართული იყო მისი უახლოესი მეგობარი ვასილ პეტრიაშვილი. ისინი ამზადებდნენ ქართველ ქალთა ჯგუფს, რომელიც საზღვარგარეთ აპირებდა სწავლის გაგრძელებას და უკითხავდნენ ლექციებს თანამედროვე ბუნებისმეტყველების საკითხებზე.


1903 წელს ოდესაში მეფის მთავრობის ნებართვით გაიხსნა ქალთა კურსები, რომელსაც პედაგოგიური განხრა ჰქონდა და ფასიანი იყო – 150 მანეთი წლიური შესატანი. ეს კურსები მდიდარი ოჯახებისთვის ხელმისაწვდომი გახლდათ და მასზე საბუნებისმეტყველო საგნები არ იკითხებოდა.

1906 წელს ეს კურსები ქალთა უმაღლეს კურსებად გადაკეთდა. აქვე გაიხსნა ფიზიკა-მათემატიკის ფაკულტეტი და დეკანად პეტრე მელიქიშვილი აირჩიეს.

ამ დროიდან იგი აქტიურად ჩაერთო სასწავლო პროცესში. კითხულობდა ლექციებს, დააარსა ლაბორატორიები, ეხმარებოდა სტუდენტ ქალებს ცოდნის მიღებაში. და ამას აკეთებდა ყოველგვარი ანაზღაურების გარეშე (ზოგადად, პროგრესული საქმისადმი ამგვარი დამოკიდებულება ახასიათებდა პეტრე მე-

ლიქიშვილს — მას არც თბილისის უნივერსიტეტის რექტორობის დროს აუღია ხელფასი და სრულიად უანგაროდ, ანაზღაურების გარეშე ემსახურა ქართულ საქმეს).

პეტრე მელიქიშვილი საქმისადმი ზერელე დამოკიდებულებას ვერ ეგუებოდა. მის გარშემო ყველაფერი სისტემაში მოდიოდა და თავის ადგილზე ლაგდებოდა. თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ორგანული ქიმიის ლაბორატორიაში, რომელიც დიდმა მეცნიერმა დააარსა, დღესაც ინახება „ქონების დავთარი“, სადაც ზემდინენით ზუსტადაა ჩამონერილი, რა შეუძენია მეცნიერს ლაბორატორიისთვის 1919 წლიდან 1924 წლამდე. ფაქიზი კალიგრაფიით ნაწერი ნუსხა ასე გამოიყურება: „ნივთების (ინვენტარის) საერთო სია — 1: აბანოები — 87; შტატივი და ზედადგარი — 88; თაროები — 89; სკამები — 91; მაგიდები — 92; შკაფები — 96; სასწორები — 99; სანათები — 98; მაშები — 95“... აქვეა ლაბორატორიის აღჭურვილობაც: „ტერმომეტრები — 220; არეომეტრები — 222; ბიურეტკები — 224; ტიგლები — 227; საზომი კოლები — 240; პიპეტები — 247; ექსიკატორები — 250; მენზურკები — 254“ და სხვ.



ნივთების (ინვენტ.) საერთო სია	— 1.
აბანოები (ქვანა)	— 87.
შტატივი & ზედადგარი	— 88.
თაროები	— 89.
სკამები	— 91.
მაგიდები	— 92.
შკაფები	— 96.
სასწორები	— 99.
სანათები	— 98.
მაშები	— 95.
ტერმომეტრები	— 220.
არეომეტრები	— 222.
ბიურეტკები	— 224.
ტიგლები	— 227.
საზომი კოლები	— 240.
პიპეტები	— 247.
ექსიკატორები	— 250.
მენზურკები	— 254.

ეს დავთარი, რომელსაც თვალის ჩინივით უფრთხილდებიან ორგანული ქიმიის ლაბორატორიაში, არის დოკუმენტური დადასტურება იმისა, თუ როგორ იქმნებოდა თბილისის უნივერსიტეტში ქიმიის ლაბორატორია, რომელმაც შემდგომ წლებში არაერთი სახელოვანი მეცნიერი აღუზარდა დარგსა და ქვეყანას.

პეტრე მელიქიშვილი იყო მკაცრი, მომთხოვნი და ამავე დროს გულისხმიერებით გამორჩეული მასწავლებელი თავისი მოსწავლეებისა. მისი თანამედროვენი ცოტა სიფიცხეს და პრინციპულობასაც აღნიშნავდნენ და ამბობენ, რომ მისი რექტორის პოსტიდან წასვლაც ამ სიფიცხის და პრინციპულობის გამო დაუჩემებია და აღარც გადაუთქვამს.

მიუხედავად ამგვარი ბუნებისა, იგი მორიდებული და უთქმელი კაციც ყოფილა. ასე არ გაამხილა ალბათ თავისი ავადობის ამბავი, როცა პატარა ხიჭვით გაკანწვრამ პერიტონიტი გამოიწვია და დიდ ქართველთა რიგს გამოაცალა იმ პერიოდის ყველაზე სახელოვანი და ტიტულოვანი მეცნიერი, თბილისის უნივერსიტეტის პირველი რექტორი პეტრე მელიქიშვილი.



პეტრე მელიქიშვილის ნილაბი.
თსუ-ის მუზეუმი



პეტრე მელიქიშვილის ძეგლი უნივერსიტეტის პანთეონში.
ავტორი ი. ნიკოლაძე

უნივერსიტეტის პირველი რექტორის კაბინეტში

აკადემიკოს პეტრე მელიქიშვილის გარდაცვალების შემდეგ, წლების მანძილზე, მის მიერ დაარსებულ ქიმიის კათედრაზე ინახებოდა მისი სამუშაო კაბინეტი, რომელსაც განსაკუთრებული ყურადღებით უვლიდნენ პეტრე მელიქიშვილის მოსწავლეები და მისი საქმის გამგრძელებლები. 2011 წელს ქიმიის ფაკულტეტის კათედრის გამგემ, აკადემიკოსმა შოთა სამსონიამ სახელოვანი მეცნიერის კაბინეტი გადმოსცა თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის მუზეუმს.

უნივერსიტეტის პირველი რექტორის კაბინეტში (დღეს უკვე მუზეუმში) დაცულია შემდეგი ექსპონატები: პეტრე მელიქიშვილის სამუშაო მაგიდა, მისი ფერწერული პორტრეტი, რომელიც შესრულებულია თავის სამუშაო კაბინეტში, ვასილ პეტრიაშვილის პორტრეტი (ვასილ პეტრიაშვილი 1842-1908 წწ. ქიმიკოსი, პეტრე მელიქიშვილის მასწავლებელი), პეტრე მელიქიშვილის სამეცნიერო მოღვაწეობის ორმოცდაათი წლის საიუბილეო თარიღთან დაკავშირებით მისი მოწაფეების ხელით შედგენილი მისალოცი ადრესი, რომელიც შეგდენილია 1924 წლის 17 თებერვალს, პეტრე მელიქიშვილის სახის ნილაბი, სამუშაო ხალათი, ქიმიური პრეპარატების ნაკრები, მაგიდის მონყობილობა – სამელნე, მაგიდის შანდლები, სუვენირები – რკინის კონუსური დასადგამი, კედელზე დასაკიდებელი თერმომეტრი, ტუნგუსის მეტეორის ფრაგმენტი, რომელიც 1908 წელს ჩამოვარდა ციმბირში (იგი საჩუქრად გადასცეს პეტრე მელიქიშვილს. მას პროფესორი საკუთარ სამუშაო კაბინეტში, როგორც იშვიათ ექსპონატს, ისე იყენებდა), გარდა ამისა, კაბინეტში დაცულია პეტრე მელიქიშვილის წიგნების ორი კარადა, პირადი ბიბლიოთეკა, სამეცნიერო ლიტერატურა ქართულ და უცხო ენებზე (რუსულ, ფრანგულ, გერმანულ, ინგლისურ ენებზე), ამ წიგნების უმეტესობა აკადემიკოსს ჯერ კიდევ ოდესის უნივერსიტეტში მოღვაწეობის დროს აქვს შექმნილი. როგორც მოგეხსენებათ, პეტრე მელიქიშვილი, ვიდრე მას თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის რექტორად აირჩევდნენ, 1881 წლიდან გახლდათ ნოვოროსიის უნივერსიტეტის ქიმიის მაგისტრი, 1884 წლიდან დოცენტი, დოქტორი, ხოლო 1885-1917 წლებში ნოვოროსიის (ოდესა) აგროქიმიის კათედრის პროფესორი.



ოსუ-ის მუზეუმში დაცული პეტრე მელიქიშვილის კაბინეტის ფრაგმენტები: სამელნე, ბიბლიოთეკა, მეტეორიტის ჩამოვარდნის შედეგად წარმოქმნილი ქვის ნატეხი.



ოსუ-ის მუზეუმში დაცული პეტრე მელიქიშვილის კაბინეტის ფრაგმენტები:
სამუშაო მაგიდა და ვერცხლისწყლის მანომეტრი

პატრია მელიქიშვილის აკადემიური სახელოებითი პრემიის მფლობელები

2012 წელს ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის პროფესორებმა შოთა სამსონიამ, იოსებ ჩიკვაიძემ, მარინა ტრაპაიძემ, ნანა თარგამაძემ, დალი ყაჯრიშვილმა და დავით ზურაბიშვილმა ნაშრომთა ციკლისათვის — „აზოტშემცველი პოტენციური ბიოლოგიური აქტიურობის მქონე არომატული ჰეტეროციკლური სისტემები: სინთეზი, თვისებები, სკრინინგი“ — საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემიის პეტრე მელიქიშვილის აკადემიური სახელოებითი პრემია მოიპოვეს.

ნაშრომების ციკლი არის ავტორთა ჯგუფის მიერ ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში პეტრე მელიქიშვილის მიერ დაარსებული ორგანული ქიმიის კათედრაზე მიმდინარე ადრეული გამოკვლევების გაგრძელება.

ამ ჯგუფის მიერ აკადემიკოს შოთა სამსონიას ხელმძღვანელობით განხორციელებული მრავალწლიანი გამოკვლევების შედეგად შექმნილია მრავალი ახალი აზოტშემცველი ჰეტეროციკლური სისტემა, მათ შორის — იზომერული კონდენსირებული პიროლო — და ინდოლოინდოლები; არაკონდენსირებული სიმეტრიული 5,5'-ბისინდოლები, არასიმეტრიული ტრიინდოლური სისტემები, ინდოლისა და დიპიროლოქინოქსალინის ფრაგმენტების შემცველი ბის-სპიროპირანული სისტემები, ბისპირიდაზინოინდოლები, ლიპოფილური ბუნების მქონე ადამანტანის ფრაგმენტის შემცველი ინდოლები და ბენზომიდაზოლები, არილინდოლები და მათი გარდაქმნის სხვა მრავალი პროდუქტი.

სამეცნიერო კვლევები გაერთიანებულია ერთი სამეცნიერო იდეის გარშემო. ამ იდეას საფუძვლად დაედო ინდოლშემცველი ნაერთების უნიკალური როლი ბუნებაში.

სამეცნიერო მიმართულების მიზანია ინდოლისა და სხვა არომატული ჰეტეროციკლების ბუნებრივი და სინთეზური მნიშვნელოვანი ნაწარმების ბის- და პოლიანალოგების შექმნა, რომლებიც შეიცავენ თავისუფალი სარეაქციო ცენტრების მქონე ჰეტეროციკლურ ფრაგმენტებს, რაც იძლევა მათი შემდგომი



შოთა სამსონია



იოსებ ჩიკვაიძე



ნანა თარგამაძე

ფუნქციონალიზაციის და, შესაბამისად, პროლონგირების უნარის მქონე ცნობილი ბიოლოგიურად აქტიური ნაერთების ახალი ანალოგების შექმნის საშუალებას.

აღნიშნულ ჰეტეროციკლებს შორის განსაკუთრებით აღსანიშნავია ინდოლის ორ ბირთვიანი სისტემა, რომელიც ადვილად ერთვება მეტაბოლიზმის პროცესებში და არ არის საზიანო ორგანიზმისთვის. აღსანიშნავია, რომ ინდოლის ზოგიერთ ნაწარმს სასიცოცხლო პროცესებში აუცილებელი და ხშირად გადამწყვეტი როლი ეკისრებათ. ეს ნაერთებია: შეუცვლელი ამინომჟავა — ტრიპტოფანი; მისი მეტაბოლიტები — ე.წ. „ბედნიერების ჰორმონი“ — სეროტონინი, რომელიც ცენტრალური ნერვული სისტემის ნეირომედიატორია; ეპიფიზის ჰორმონი — მელატონინი, რომელიც ადამიანის ორგანიზმში დღე-ღამურ რიტმს არეგულირებს; მცენარეთა ზრდის რეგულატორი — ჰეტეროაუქსინი; ათასზე მეტი ინდოლური ბუნებრივი ალკალოიდი და სხვა.

აღნიშნული იდეის განვითარებას ეძღვნება წარმოდგენილი შრომების ციკლი, რომელიც მოიცავს 34 სამეცნიერო პუბლიკაციას (2007-2011 წ.წ.),

მათ შორის 1 გამომცემლობა „ლამბერტის“ მიერ გამოცემული, გერმანულ ენაზე დაბეჭდილი, თ. დოროშენკოს მიერ შ. სამსონიასა და ი. ჩიკვაიძის ხელმძღვანელობით შესრულებული სამაგისტრო ნაშრომი: Doroshenko T., Samsoniya Sh., Chikvaizde I. Bisindole Derivatives. Synthesis of bis(1H-Indol-5-yl)methane new derivatives. Lambert Academic Publishing, Saarbruecken. Printed in the U.S.A., 2011, 61 pp.

პუბლიკაციებში მონო-დებულია ზემოთ აღნიშნული ნივთიერებათა რიგის ნაერთების სინთეზის ახალი მეთოდები და ცნობილი მეთოდების გაუმჯობესება-ოპტიმიზაცია. შესწავლილია მათი ქიმიური თვისებები და ბიოლოგიური აქტიურობა.

სინთეზირებული ნაერთების გარდაქმნების დროს აღმოჩენილი ქიმიური თავისებურებები ახსნილია მათი შემადგენელი ძირითადი ჰეტეროციკლური სისტემების ელექტრონული და სტრუქტურული სპეციფიკიდან გამომდინარე; მონოდებულია ამ გარდაქმნების სავარაუდო მექანიზმების ახლებური ინტერპრეტაცია.

წარმოდგენილი ნაშრომების ციკლის სამი პუბლიკაცია მიმოხილვითი ხასიათისაა:




მარინა ტრაპაიძე



დალი ყაჯრიშვილი



დავით ზურაბიშვილი



ინდოლის ფრაგმენტის შემცველი ახალი იზომერული პიროლოინდოლები (1-5); ინდოლიინდოლები (6-8); ფიშერის ფუძეები (9); არილინდოლები (10-12); 2-დიარილინდოლები (13); პირიდაზინოინდოლები (14), ბისპირიდაზინოინდოლები (18, 21); ბისინდოლები და ტრინდოლები (15-17); პირდაზინისა და დიკეტოპირაზინის ბირთვების შემცველი პენტაციკლური ინდოლური სისტემები (19, 20); ინდოლური პოლიმერები(22).

1. Samsoniya Sh.A., Trapaidze M.V. The chemistry of indoloindoles. Russian Chemical Reviews, 2007, v. 76, №4, pp.313-326. (www.uspkhim.ru/issn:1817-5651).

2. Zurabishvili D.S., Lomidze M.O., Trapaidze M.V., Samsoniya Sh.A. Adamantyl-1 and Adamantyl-2-Imidazoles and Benzimidazoles: Methods of synthesis, Properties and Biological activity. In: "Heterocyclic Compounds: Synthesis, Properties and Applications~. Editor: Kristian Nylund and Peder Johansson. Nova Science Publishers, New-York, 2010, pp.47-98. (www.novapublishers.com/catalog/product_info.php?products_id=11450).

3. Samsoniya Sh.A., Chikvaidze I.Sh., Ozdesh M. Pyridazinoindoles, Synthesis and Properties. In: “Heterocyclic Compounds: Synthesis, Properties and Applications~. Editor: Kristian Nylund and Peder Johansson, Nova Science Publishers. New-York, 2010, pp.147-170. (www.novapublishers.com/catalog/product_info.php?products_id=11450).

ამ სტატიებში განხილულია ინდოლოინდოლების, ადამანტილიმიდაზოლების და ბენზიმიდაზოლების, აგრეთვე პირიდაზინოინდოლების და მათი ნაწარმების სინთეზის მეთოდები, გარდაქმნები და ბიოლოგიური თვისებები. ეს სტატიები მნიშვნელოვანია მაგისტრანტების, დოქტორანტებისა და ამ სფეროებში მოღვაწე მკვლევარებისთვის.

ნაშრომთა ციკლის ძირითადი ნაწილი მიძღვნილია არომატული ჰეტეროციკლური სისტემების სინთეზისადმი.

- დამუშავებულია საკვანძო რეაგენტის მიღების ხერხები.
- დადგინდა, რომ სისტემა ადამანტანი-ბენზიმიდაზოლი არა-ტოქსიკურია, ხოლო წარმოებულები ხასიათდებიან ბიოლოგიური აქტიურობის ფართო სპექტრით: ანტივირუსული, ანტიმიკრობული, ანტიკანცეროგენული და სხვა. გამოვლენილია ნაერთები, რომლებიც ახდენენ 5 სხვადასხვა საშიში ვირუსის და 7 მიკრობის ინჰიბირებას (გამოცდა ბიოლოგიურ აქტიურობაზე შეასრულა აშშ არმიის ინფექციურ დაავადებათა ინსტიტუტმა (USAMRIID). გამოვლენილია ასევე სელექციურად მოქმედი ნაერთები. მიღებული შედეგები ადასტურებენ ადამანტანბენზიმიდაზოლების მიზნობრივი სინთეზის პერსპექტიულობას.
- მონოდებულია ახალი თაობის, დიჰიდროინდოლიზინური ტიპის ფოტოქრომული თვისებების მატარებელი, ბის-სპიროციკლური ნაერთების სინთეზის მეთოდი, რომელიც იძლევა ახალი რიგის კონდენსირებული პოლიჰეტეროციკლური ფრაგმენტების შემცველი ფოტოქრომების მიღების საშუალებას.
- განხორციელებულია ადრე სინთეზირებული ახალი სისტემის – ბენზოპიროლოინდოლის ფუნქციონალიზაცია და შესწავლილია მიღებული ნაერთების სოკოს სხვადასხვა შტამების საწინააღმდეგო აქტიურობა. სინთეზირებულ ნაერთებს შორის გამოვლენილია მაღალი ფიზიოლოგიური აქტიურობის მქონე ინდოლური ნაერთები.

- მიღებულია ფიშერის „ფუძეები“ დიპიროლონაფთალინების საფუძველზე.
- მიღებულია N-მეთილ-2-ფენილინდოლის ახალი ნაწარმები. მოწოდებულია სინთეზის ორი გზა: რეაქციების ჩატარება პოლიფოსფორმჟავაში და სუპერფუძე არეში.
- ტუბერკულოსტატიკური, ციტოსტატიკური და სხვა ფიზიოლოგიური აქტიურობის მქონე ახალი საშუალებების გამოვლენის მიზნით დამუშავებულია, თიოურეიდოფენილის ჯგუფის შემცველი, 2-ფენილინდოლის ცნობილი ფიზიოლოგიურად აქტიური ნაერთების სტრუქტურული ანალოგების მიღების მეთოდები.
- მოწოდებულია ანგულარული და ხაზოვანი პიროლოინდოლების სინთეზის ოპტიმიზირებული მეთოდები.
- დამუშავებულია ანგულარული და ხაზოვანი პიროლოინდოლების წარმოებულების მიღების პრეპარატული მეთოდები.
- აღწერილია ქინოქსალინის ფრაგმენტის შემცველი ახალი ბის-სპიროპირანული სისტემის მიღების გზა.
- მოწოდებულია ე. ფიშერის რეაქციის მექანიზმის ზოგიერთი საფეხურის ახლებური ინტერპრეტაცია.
ჩატარებული გამოკვლევები გამოიჩინეს მაღალი პროფესიონალური დონით.

აღსანიშნავია, რომ ამ ჩამონათვალში მოტანილი გამოკვლევების შედეგად მიღებული საყურადღებო მონაცემები განეკუთვნება როგორც ფუნდამენტურ, ასევე, პრაქტიკული ხასიათის სამეცნიერო აქტუალურ პრობლემათა რიცხვს.

ავტორების მიერ, სინთეზში ტრადიციული მეთოდებთან ერთად, გამოყენებულია ულტრაბგერითი აქტივაციის მეთოდიც.

სინთეზირებულ ნივთიერებათა სტრუქტურები დადგენილია კვლევის თანამედროვე ინსტრუმენტული მეთოდებით: ინფრანითელი, ულტრაიისფერი და ბირთვულ-მაგნიტური რეზონანსული სპექტროსკოპია და მაღალი გარჩევადობის მას-სპექტრომეტრია. ამ სპექტრების დიდი ნაწილი ჩაწერილია საარბრიუკენის უნივერსიტეტის ორგანული ქიმიის ინსტიტუტის ლაბორატორიებში.

უნივერსიტეტის პირველი რექტორი —
პეტრე მელიქიშვილი

პუბლიცისტური ნარკვევები

დაიბეჭდა თსუ-ის სტამბაში
თბილისი, 2015



გაზეთ „თბილისის უნივერსიტეტის“
რედაქცია, 2015